




საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

2019

EEU

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი | საკონტაქტო ინფორმაცია: თბილისი, შატილის ქ. 4, info@eeu.edu.ge, (032) 2 48 01 41



საბაკალავრო
პროგრამები

სამართალი/ LAW

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი Bachelor of Law

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 240

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები:

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება საჯარო, კერძო ან/და სისხლის სამართლის დარგებში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლების უნარი;
- სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესით.
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის შედეგები:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სიღრმისეული ცოდნა; • გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი, კომპლექსური საკითხები და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის; • კურსდამთავრებულმა იცის: განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ქონებრივი სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; საზღვარგარეთის ქვეყნებისა და ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება; • აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი; • შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა.
<p>დასკვნის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების, აგრეთვე სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქვს მშობლიურ და უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემის უნარი;

	<ul style="list-style-type: none"> • აქვს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების და ქართულ და უცხოურ ენაზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი; • აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.
სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> • აქვს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარი; • აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> • იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. • აქვს ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

სწავლება-სწავლის მეთოდები	
<input checked="" type="checkbox"/> ლექცია	<input checked="" type="checkbox"/> სამუშაო ჯგუფში მუშაობა
<input checked="" type="checkbox"/> პრაქტიკული მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/> სემინარი
<input type="checkbox"/> ელექტრონული რესურსით სწავლება	<input type="checkbox"/> ელექტრონული სწავლება
<input checked="" type="checkbox"/> სხვა	

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p>	

საკონტაქტო პირი: ზვიად როგავა, ტელ. 599252552.

ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) BUSINESS ADMINISTRATION (FINANCE, MANAGEMENT, MARKETING)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration - BBA

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 240

სწავლების ენა: ქართული

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნები:

- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ბიზნესის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ადმინისტრირების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობას სახელმწიფო, კერძო, არასამთავრობო და აკადემიურ სექტორებში;
- კურსდამთავრებულთათვის როგორც დარგის, ასევე მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ზოგადი კომპეტენციების უზრუნველყოფა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჩარიცხვის განსხვავებული წესი, შიდა და გარე მობილობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	<p>კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ფართო და საფუძვლიანი ცოდნა, რომელიც მოიცავს თანამედროვე თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და შეუძლია ამ სფეროს კომპლექსური საკითხების ღრმა გაცნობიერება;</p> <p>კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none">• ეროვნული და გლობალური ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს კრიტიკული გააზრების და აღწერის მეთოდები;• ორგანიზაციასა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური და კულტურათაშორისი პასუხისმგებლობის ბიზნეს–
------------------------------	--

	<p>გარემოში მიმდინარე ცვლილებების ანალიზის მეთოდები და პრინციპები;</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნეს-სექტორის ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში, მისი მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის; • ბაზრების თეორია; ბიზნეს-გარემოში მიმდინარე პროცესების შინაარსი, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურა; • საბანკო სისტემის არსი, ცენტრალური და კომერციული ბანკების საქმიანობის ძირითადი პრინციპები; • ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად მეთოდოლოგიასა და მეთოდებზე დაყრდნობილი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების და დებულებები, შესაბამისი ცნებების და კონცეფციების განმარტება და შინაარსი, პრობლემების გამოკვეთის და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის მეთოდები; • ზოგადი მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ბუღალტერიის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო პრობლემების პრინციპები და მათი ურთიერთკავშირები; • ფინანსური ინფრასტრუქტურა და ფინანსური სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები; • ფინანსური მენეჯმენტის როლი ფინანსური რესურსების მართვაში; • ფინანსური ანგარიშგების, როგორც რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალების არსი; • ბიზნესის კვლევისა და წარმართვისათვის რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენების პრინციპები და მათი სარგებლიანობა. <p>ამას გარდა შესაბამისი მოდულის სრული კურსის ათვისების შემთხვევაში:</p> <p>ფინანსების მოდული:</p> <ul style="list-style-type: none"> • კორპორაცია ფინანსების არსი და მნიშვნელობა, მათი მართვის მეთოდები, შესაბამისი რისკების შეფასება და მართვა; • ცენტრალური და კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი პრინციპები; • საერთაშორისო ფინანსების არსი და მნიშვნელობა, მათი გამოყენების თავსებურებები და პრინციპები; • საჯარო ფინანსების არსი და დანიშნულება, მათი მართვის პრინციპები. <p>მენეჯმენტის მოდული:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგადი და ოპერაციული მენეჯმენტის პრობლემების პრინციპები და მათი ურთიერთკავშირები; • ადამიანური რესურსების მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა, პერსონალის ოპტიმალური მართვის პრინციპები; • კორპორაციაში და ფირმაში ორგანიზაციული ქცევის მთავარი პრინციპები, მათი დანერგვის მეთოდები; • პროექტების განხორციელების მთავარი პრინციპები და ოპტიმალური მეთოდები. <p>მარკეტინგის მოდული:</p> <ul style="list-style-type: none"> • მარკეტინგისა და გაყიდვების მართვის პრინციპები და მათი ურთიერთკავშირები; • ბაზრის მარკეტინგული კვლევის მნიშვნელობა და ჩატარების მეთოდები;
--	--

	<ul style="list-style-type: none"> • მომხმარებელთა ქცევის შესწავლის და გათვალისწინების მთავარი პრინციპები და მეთოდები; • კომპანიის ბრენდის მნიშვნელობა და ბრენდის შექმნისა და მართვის მეთოდები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ბიზნესის გარემოს ობიექტური რეალობის ახსნა, ბიზნეს-ფირმაზე, კომპანიაზე მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური პროცესების იდენტიფიცირება, თავისებურებების დემონსტრირება; • საბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, შესაბამისი სტაჟირების გავლის შემდეგ საბაზრო გარიგებების დამოუკიდებლად ჩატარება; • ბიზნეს-ფირმების, კომპანიების კონკურენციული უპირატესობების მიღწევისა და შენარჩუნებისათვის გზების დასახვა, ბაზრის მდგომარეობის ანალიზი, ეფექტიანი მენეჯმენტური და მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელება, ფინანსური დოკუმენტების, საბუღალტრო ანგარიშგების ფორმების მომზადება; • ბიზნესთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) შესრულება ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად; ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების (მიზნის დასახვა, შესაძლებლობების ანალიზი, საქმიანი გარემოს შესწავლა, ბიზნესის წარმოების სტრატეგიის შემუშავება, ოპერატიული გეგმის შედგენა, სიტუაციური ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაციის დაგეგმვა, შესრულების კონტროლი და პროცესის კორექცია) გამოყენება საშუალო სირთულის პრობლემების გადასაჭრელად; • მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემების აღმოჩენა დასაკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მათი გადაჭრა, სამუშაო დროის რაციონალურად დაგეგმვა და ორგანიზება. <p>ამას გარდა შესაბამისი მოდულის სრული კურსის ათვისების შემთხვევაში:</p> <p>ფინანსების მოდული:</p> <ul style="list-style-type: none"> • კორპორაცია ფინანსების ანალიზი და მართვა, შესაბამისი რისკების შეფასება და მართვა; • ცენტრალური და კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზის ჩატარება; • ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთობა; <p>მენეჯმენტის მოდული:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგადი და ოპერაციული მენეჯმენტის პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების დასახვა; • პერსონალის შერჩევაში მონაწილეობის მიღება და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის განხორციელება; • სხვადასხვა სახის პროექტების შეფასება და პროექტების განხორციელების გზების შერჩევა. <p>მარკეტინგის მოდული:</p> <ul style="list-style-type: none"> • მარკეტინგისა და გაყიდვების მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება და ოპტიმიზაცია;

	<ul style="list-style-type: none"> • ბაზრის მარკეტინგული კვლევის ჩატარება (დამოუკიდებლად ან ჯგუფში) და მათი შედეგების ანალიზი; • მომხმარებელთა ქცევის მთავარი პრინციპების გამოყენებით გაყიდვების და ბრენდის მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება.
დასკვნის გამოტანის უნარი	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • რაციონალური აზროვნების გზით ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და რესურსების ეფექტიანად მართვის, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი; • ბიზნესის სფეროში არსებულისაშუალო სირთულის პრობლემების ამოცნობის, მასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზისა და სინთეზის, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; • ბიზნესის სფეროში არსებულისამეცნიერო ნაშრომების, თეორიებისა და ჰიპოთეზების ანალიზის და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; • ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციისმონაცემების შეგროვების, დამოუკიდებლად შესწავლისა და განზოგადების, მომგებიანობისა და რენტაბელობის შეფასების უნარი;
კომუნიკაციის უნარი	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესთან დაკავშირებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი; პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადების უნარი; • დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი; სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ბიზნესთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი, როგორც ქართული, ისე ინგლისურ ენაზე; • გუნდური მუშაობისადაჯგუფური გადაწყვეტილებებისშემუშავებაშიმონაწილეობის, კონფლიქტების მოგვარების უნარი; • სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.
სწავლის უნარი	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და სსვადასხვა კუთხით შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; • შემდგომ საფეხურზე სწავლის შემდგომი გაგრძელების უნარი.
ღირებულებები	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეთიკის ნორმების ცოდნა, ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა, აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი; • დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა; • პიროვნების თავისუფლების პატივისცემა, ტოლერანტობისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი

პასუხისმგებლობის გრძნობა.

- ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობისადმი სწრაფვა

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად მიზნების საბაკალავრო პროგრამა ლექციისა და სამუშაო ჯგუფის ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერიტი მუშაობის მეთოდი და სხვ.).

- **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.
- **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას დამათვისების სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს დაპარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ესტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- **როლური, სიტუაციური და საქმიანი თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშების სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მასალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში.
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალაერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური.
- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის** მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთიმთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნითარსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

- **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორმასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდებამოცემული თემის ფარგლებში.
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალისპრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: სხვადასხვა ტიპისჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება დაა.შ.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა: უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 შესაბამისად. სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი ან კომბინირებული (წერითი და ზეპირი) გამოცდა. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, თუ მან მიიღო FX (41-50 – ვერ ჩააბარა) შეფასება; საგანში დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარული დღისა. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დაკონკრეტებულია შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები.

საკონტაქტო პირი: რუსუდან ჩიქოვანი ტ. 577505354. ავანდილ გაგნიძე ტ. 577565999.

ინგლისური ფილოლოგია/ English Philology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში **BA in English philology**

საფეხური: ბაკალავრიატი

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 240

სწავლების ენა: ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით (პროგრამის მაპროფილებელი საგნების ნაწილი იკითხება ინგლისურ ენაზე)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა) პროგრამის მიზნები: ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს კომპლექსური თეორიული ცოდნა ინგლისური ფილოლოგიის სფეროში და გამოუმუშავოს პრაქტიკული უნარები; მოამზადოს სტუდენტი მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის სხვადასხვა მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი დარგის, ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტების მომზადება, რომელთა როგორც ზოგადფილოლოგიური, ისე ვიწრო დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას დიდაქტიკურ, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ.

ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე საქართველოს მოქალაქეების მიღება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეები ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის მსურველს ერთიან ეროვნულ გამოცდებში ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ინგლისური ენა. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია აეუ–ს სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან აეუ–ს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის.

გ) სწავლის შედეგები: ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

<p>1.ცოდნა გაცნობიერება</p>	<p>და <i>აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.</i></p>	<p>კურსდამთავრებულმა იცის და შეუძლია კრიტიკულად გაიაზროს:</p> <p>ფილოლოგიური მეცნიერებების საფუძვლები (ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის, თარგმანმცოდნეობის ძირითადი ცნებები, პრინციპები და მეთოდები); ინგლისური ენა არანაკლებ C1 დონეზე; ინგლისური ენის ისტორია, გრამატიკის თეორია, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ინგლისური ენის სახესხვაობანი, სხვადასხვა დარგობრივი ტერმინოლოგია; ინგლისური ლიტერატურის პერიოდები, ჟანრები და მნიშვნელოვანი ავტორები; მეორე უცხო ენა - გერმანული, ფრანგული (არანაკლებ B1 დონეზე), რუსული. საკუთარი სურვილისა და ინტერესების მიხედვით არჩეული ინგლისური ენისა და ლიტერატურის, ქართული, ანტიკური და მსოფლიო ცივილიზაციის ასპექტები.</p>
<p>2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><i>შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</i></p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <p>ნებისმიერი სირთულის ტექსტის თარგმნა ზეპირად და წერილობით ინგლისურიდან ქართულად და პირიქით; ქართული და ინგლისურენოვანი, სხვადასხვა სტილისა და ჟანრის ტექსტების რედაქტირება და კორექტირება; ნებისმიერი სირთულის, შინაარსისა და ჟანრის ინფორმაციის, მათ შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული და სამეცნიერო ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი ქართულ და ინგლისურ ენებზე; ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე აკადემიური წერის პრინციპების დაცვით, დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით; ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მეორე უცხო ენაზე (გერმანული, ფრანგული, რუსული - სურვილის მიხედვით);</p>

		საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლისა და კვლევის პროცესში, პროფესიულ საქმიანობაში.
3. დასკვნის უნარი	<i>სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.</i>	კურსდამთავრებულს აქვს: ინგლისური ფილოლოგიის ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მასალებისა და მონაცემების შეგროვების, გააზრების, სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი, ფილოლოგიურ მეცნიერებათათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით; ინგლისური ფილოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის, სხვადასხვა მეცნიერული მოსაზრებების, ჰიპოთეზებისა და თეორიების კრიტიკული შეფასებისა და საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბების უნარი;
4. კომუნიკაციის უნარი	<i>იდებების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითა და გამოყენება.</i>	კურსდამთავრებულს აქვს: ინგლისური ფილოლოგიის სფეროში არსებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე; ინგლისური ფილოლოგიის სფეროში ინგლისურ ენაზე საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადების უნარი; სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინგლისურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე; დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი; სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ინგლისურ ფილოლოგიაში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი.
5. სწავლის უნარი	<i>საკუთარი სწავლის</i>	კურსდამთავრებულს აქვს:

	<p><i>პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.</i></p>	<p>ფილოლოგიის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი;</p> <p>დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების უნარი;</p> <p>წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით კვლევითი სამუშაოს შესრულების უნარი;</p> <p>სამუშაო დროის რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი.</p>
<p>6.ღირებულებები</p>	<p><i>ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.</i></p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <p>ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი;</p> <p>საკუთარი პროფესიისადმი და სამუშაო გარემოსადმი პატივისცემის გრძნობა;</p> <p>დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;</p> <p>პიროვნების თავისუფლების პატივისცემა, ტოლერანტობა;</p> <p>ინგლისურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.</p>

დ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

ინგლისური ფილოლოგიის სწავლების პროცესში გამოყენებულია განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი მიდგომები. სწავლება- სწავლის მეთოდები - ლექციები, სამუშაო ჯგუფები, სემინარები და პრაქტიკული მუშაობები მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირება, ანალიზი და სინთეზი, ნაწილობრივ ელექტრონული სწავლება და სხვ. სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ხდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, ინგლისურენოვან სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული ფილმების ჩვენება და მათი განხილვა. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია სწავლების/სწავლის ის კონკრეტული მეთოდი/მეთოდები და აქტივობები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნებს და მისაღწევ (დაგეგმილ) სწავლის შედეგებს, ხოლო, სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები, თავის მხრივ, სრულ შესაბამისობაშია პროგრამით მისაღწევ შედეგებთან. ამდენად,

სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სწავლების/სწავლის მეთოდების ერთობლიობა ქმნის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლების/სწავლის ერთიან მეთოდოლოგიას.

ე) სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა: ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (დასკვნითი და შუალედური გამოცდა სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, თუ მან მიიღო **FX (41-50 – ვერ ჩააბარა)** შეფასება; საგანში დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარული დღისა.

შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. თითოეულ სასწავლო კურსში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი შეფასებისთვის. დასკვნითი შეფასების მინიმალური გამსვლელი ქულა არ უნდა აღემატებოდეს დასკვნით შეფასების 60%-ს.

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია თუ:

- ✓ სტუდენტმა მიაღწია შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის მინიმალური კომპეტენციის დონეს;
- ✓ საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, შეფასების სტრუქტურა და კრიტერიუმები დეტალურად არის ასახული შესაბამის სილაბუსში.

საკონტაქტო პირი: ქეთევან აფთარაშვილი, ტ. 591936777.

ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)/BUSINESS ADMINISTRATION (ENG)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი/ Bachelor of Business Administration BBA

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 240

სწავლების ენა: ინგლისური

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნები:

1. მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ბიზნესის მართვის სპეციალიზირებული ცოდნა და პრაქტიკული უნარები და შეძლებენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის შრომის ბაზარზე პროექტების მართვის, ეკონომიკის, ფინანსების, მარკეტინგის, სამართლებრივი ასპექტების, მათემატიკური აპარატის, ინგლისურისა და სხვა უცხო ენების გაცნობიერების გზით.
2. ბიზნესის გარემოში პრობლემების იდენტიფიკაცია, შეფასება, ანალიზი, მსჯელობა, დასაბუთება და დამოუკიდებლად ამოცანების გადაწყვეტის უნარი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება (უცხო ენა - ინგლისური) საქართველოს მოქალაქეებისთვის, გამოცდა ან დამადასტურებელი დოკუმენტი ინგლისურ ენაში B2 დონის შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჩარიცხვის განსხვავებული წესი, შიდა და გარე მობილობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწავლის შედეგები:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ორგანიზაციების ეროვნული და გლობალური ეკონომიკური გარემოს აღწერის მეთოდები; ორგანიზაციასა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური და კულტურათაშორისი პასუხისმგებლობის ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების აღწერის მეთოდები და პრინციპები; • ბიზნეს-სექტორის ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში, მისი მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის; • ბაზრების თეორია; ბიზნეს-გარემოში მიმდინარე პროცესების შინაარსი, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურა - საბანკო სისტემის არსი, ცენტრალური და კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი პრინციპები; • ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად მეთოდოლოგიასა და მეთოდებზე დაყრდნობილი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების და დებულებები, შესაბამისი ცნებების და კონცეფციების განმარტება და შინაარსი, პრობლემების გამოკვეთის და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის მეთოდები; • ზოგადი და ოპერაციული მენეჯმენტის, მარკეტინგისა და გაყიდვების, ფინანსების, ბუღალტერიის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო პრობლემების პრინციპები და მათი ურთიერთკავშირები, ბიზნესის მართვის სამართლებრივი და ეთიკური ასპექტები; • ფინანსური ინფრასტრუქტურა და ფინანსური სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები; რისკების მართვა; ფინანსური მენეჯმენტის როლი ფინანსური რესურსების მართვაში; ფინანსური ანგარიშგება, როგორც რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალება; • გადასახადების და დაბეგვრის არსი; საქართველოს საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების საფუძვლები; გადასახადები, როგორც ეკონომიკური და ფინანსური კატეგორია; ფიზიკური და იურიდიული პირების საგადასახადო ვალდებულებანი და პასუხისმგებლობა. საგადასახადო და საბაჟო რეგულირების ძირითადი ასპექტები; • ბიზნესის კვლევისა და წარმართვისათვის რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენების პრინციპები და მათი სარგებლიანობა.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ბიზნესის გარემოს ობიექტური რეალობის ახსნა, ბიზნეს-ფირმაზე, კომპანიაზე მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური პროცესების იდენტიფიცირება, თავისებურებების დემონსტრირება, საბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, შესაბამისი სტაჟირების გავლის შემდეგ საბაზრო გარიგებების დამოუკიდებლად ჩატარება;

	<ul style="list-style-type: none"> • ბიზნეს-ფირმების, კომპანიების კონკურენციული უპირატესობების მიღწევისა და შენარჩუნებისათვის გზების დასახვა, ბაზრის კვლევა და ანალიზი, სამომხმარებლო ქცევისა და პრეფერენციების გამოცნობა, ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელება, რისკების მართვა, პოტენციური კლიენტების მოძებნა, მათი საჭიროების გააზრება, ფინანსური და საგადასახადო დოკუმენტების, საგადასახადო დეკლარაციების, საბუღალტრო ანგარიშგების ფორმების მომზადება; • ბიზნესთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) შესრულება ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად; ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების (მიზნის დასახვა, შესაძლებლობების ანალიზი, საქმიანი გარემოს შესწავლა, ბიზნესის წარმოების სტრატეგიის შემუშავება, ოპერატიული გეგმის შედგენა, სიტუაციური ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაციის დაგეგმვა, შესრულების კონტროლი და პროცესის კორექცია) გამოყენება საშუალო სირთულის პრობლემების გადასაჭრელად; • მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, პრობლემების აღმოჩენა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მათი გადაჭრა, ადამიანური რესურსების და ინტელექტუალური კაპიტალის მენეჯმენტი, სამუშაო დროის რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი.
<p>დასკვნის გამოტანის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • რაციონალური აზროვნების გზით ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და რესურსების ეფექტიანად მართვის, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი; • ბიზნესის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების ამოცნობის, მასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზისა და სინთეზის, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; • ბიზნესის სფეროში არსებულისამეცნიერო ნაშრომების, თეორიებისა და ჰიპოთეზების ანალიზის და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; • ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მონაცემების შეგროვების, დამოუკიდებლად შესწავლისა და განზოგადების, მომგებიანობისა და რენტაბელობის შეფასების უნარი; • ბიზნესის ადმინისტრირებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა მეთოდის (მიზნის დასახვა, შესაძლებლობების ანალიზი, საქმიანი გარემოს შესწავლა, ბიზნესის სტრატეგიის შემუშავება, ოპერატიული გეგმის შედგენა, სიტუაციური ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაციის დაგეგმვა, შესრულების კონტროლი და პროცესის კორექცია) გამოყენება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესთან დაკავშირებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე; პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადების უნარი;

	<ul style="list-style-type: none"> • დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი; სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ბიზნესთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი; • გუნდური მუშაობისა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის, კონფლიქტების მოგვარების უნარი; • სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.
სწავლის უნარი	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; • შემდგომ საფეხურზე სწავლის შემდგომი გაგრძელების უნარი.
ღირებულებები	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეთიკის ნორმების ცოდნა, ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი; • დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა; პიროვნების თავისუფლების პატივისცემა, ტოლერანტობისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად ბიზნესის საბაკალავრო პროგრამა ლექციისა და სამუშაო ჯგუფის ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერიტი მუშაობის მეთოდი და სხვ.).

- **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.
- **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- **როლური, სიტუაციური და საქმიანი თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში.

- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური.
- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
- **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: სხვადასხვა ტიპის ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა: უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 შესაბამისად. სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი ან კომბინირებული (წერითი და ზეპირი) გამოცდა. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, თუ მან მიიღო FX (41-50 – ვერ ჩააბარა) შეფასება; საგანში დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარული დღისა. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დაკონკრეტებულია შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები.

საკონტაქტო პირი: : რუსუდან ჩიქოვანი ტ. 577505354. ავთანდილ გაგნიძე ტ. 577565999.

საერთაშორისო ურთიერთობები/ INTERNATIONAL RELATIONS

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი/ BA in International Relations

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 240

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა) პროგრამის მიზნებია: საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია გააცნოს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების ფართო სფერო; შეასწავლოს დარგის ძირითადი ცნებები, თეორიები და მეთოდები, ასევე მომიჯნავე თუ სხვა სპეციალიზებული დისციპლინები; მისცეს სტუდენტს კომპლექსური თეორიული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში; განუვითაროს ანალიტიკური აზროვნება, საერთაშორისო თუ საშინაო პროცესების, მსოფლიო, რეგიონული თუ საშინაო პოლიტიკური მოვლენების შეფასებისა და ანალიზის უნარი; თეორიული განათლების პარალელურად, გამოუმუშავოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები; მოამზადოს სტუდენტი მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის სხვადასხვა მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურ მეცნიერებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების მომზადება, რომელთა როგორც ზოგადი, ისე ვიწრო დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას როგორც სოციალური მეცნიერებების ფართო, ისე საერთაშორისო ურთიერთობების ვიწრო პროფილით, სხვადასხვა სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, დიპლომატიურ სამსახურებში და სხვა.

ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე საქართველოს მოქალაქეების მიღება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეები ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია აეუ-ს სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებებიდან აეუ–ს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხილობით გადმოსული სტუდენტებისათვის.

გ) სწავლის შედეგები:საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

<p>1.ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.</p>	<p>კურსდამთავრებულმა იცის და შეუძლია კრიტიკულად გაიაზროს:</p> <p>საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებები, პრინციპები, თეორიები და წყაროები; სამეცნიერო წრეებში არსებული თანამედროვე თეორიული დებატები;</p> <p>საბაზისო თუ მომიჯნავე დისციპლინები (პოლიტიკური მეცნიერებების, სოციოლოგიის, ეკონომიკის, ახალი და უახლესი ისტორიის საფუძვლები; კლასიკური და თანამედროვე პოლიტიკური თეორიები, საერთაშორისო საჯარო სამართალი და სხვა);</p> <p>მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, მსოფლიო პოლიტიკის ტენდენციები, გლობალური და რეგიონული გამოწვევები;</p> <p>ევროპასთან ინტეგრაციის საკითხები; ევროკავშირის ისტორია, სტრუქტურა და პოლიტიკა; საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობა;</p> <p>საკუთარი სურვილისა და ინტერესების მიხედვით არჩეული დისციპლინის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები და სხვ.</p>
<p>2.ცოდნის პრაქტიკაში</p>	<p>შეუძლია სფეროსათვის</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p>

<p>გამოყენების უნარი</p>	<p>დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p>	<p>საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში წარმატებით გამოყენება; საერთაშორისო პროცესების გაანალიზება, დისკუსიებში მონაწილეობა, კრიტიკული მსჯელობა, საერთაშორისო მოვლენებისადმი საკუთარი პროფესიული ხედვის ჩამოყალიბება; მის მიერ წამოყენებული მოსაზრებების არგუმენტებით გამყარება და დასაბუთება; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p>
<p>3. დასკვნის უნარი</p>	<p>სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს: საერთაშორისო ურთიერთობების ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მასალებისა და მონაცემების შეგროვების, გააზრების, სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; მიღებული ინფორმაციის დამუშავების, შეფასების, განზოგადების შედეგად შესაბამისი გადაწყვეტილების ჩამოყალიბების უნარი.</p>
<p>5. კომუნიკაციის უნარი</p>	<p>იდებებს, არსებული პრობლემებისა და</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p>

	<p>გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.</p>	<p>საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადებისუნარი როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე (რაც მიიღწევა შესაბამისი დარგობრივი ლიტერატურის დამუშავებით); სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი; პროფესიულ წრეებთან თუ არასპეციალისტებთან დებატების წარმართვის, მოლაპარაკებების წარმოების, დისკუსიებში ჩარბმის, საკუთარი მოსაზრებების წამოყენებისა და დაცვის უნარი. მის ხელთ არსებული ინფორმაციის ფართო საზოგადოებისთვის წერილობით ან პრეზენტაციის სახით წარდგენის უნარი.</p>
<p>5.სწავლის უნარი</p>	<p>საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების უნარი;</p>

6. ღირებულებები	ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.	კურსდამთავრებულს აქვს: ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა, პროფესიული და ეთიკური ნორმებისა და აკადემიური პატიოსნების დაცვის უნარი; საერთაშორისო დონეზე აღიარებული ზოგადსაკაცობრიო თუ ეროვნულ დონეზე არსებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.
-----------------	---	--

დ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების პროცესში გამოყენებულია განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ნაწილობრივ ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, პრაქტიკული მეცადინეობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, ესეს, რეფერატის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.

გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით დაგეგმილია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, სხვადასხვა ქართველი და უცხოელი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის საჯარო ლექციები და სხვ. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია სწავლების/სწავლის ის კონკრეტული მეთოდი/მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნებს და მისაღწევ (დაგეგმილ) სწავლის შედეგებს, ხოლო, სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები, თავის მხრივ, სრულ შესაბამისობაშია პროგრამით მისაღწევ შედეგებთან. ამდენად, სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სწავლების/სწავლის მეთოდების ერთობლიობა ქმნის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლების/სწავლის ერთიან მეთოდოლოგიას.

ე) სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (დასკვნითი და შუალედური გამოცდა სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, თუ მან მიიღო FX (41-50 – ვერ ჩააბარა) შეფასება; საგანში დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარული დღისა.

შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. თითოეულ სასწავლო კურსში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი შეფასებისთვის. დასკვნითი შეფასების მინიმალური გამსვლელი ქულა არ უნდა აღემატებოდეს დასკვნით შეფასების 60%-ს.

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია თუ:

- ✓ სტუდენტმა მიაღწია შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის მინიმალური კომპეტენციის დონეს;
- ✓ საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, შეფასების სტრუქტურა და კრიტერიუმები დეტალურად არის ასახული შესაბამის სილაბუსში.

საკონტაქტო პირი: გიზო ჭელიძე ტ. 599069912, ქეთევან აფთარაშვილი ტ. 591936777.

არქიტექტურა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): არქიტექტურის ბაკალავრი/Bachelor of Architecture

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი.

სწავლების ენა: ქართული.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი

პროგრამის მიზნები:

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- არქიტექტურის სფეროში მისი საფუძვლების, არსის, განვითარების კანონზომიერებების, დაპროექტების ძირითადი პრინციპების და მეთოდების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, გამოყენებული მეთოდების და ტექნოლოგიების შესაძლებლობების გაცნობიერებით. დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლების მქონე პირის ხელმძღვანელობით და მითითებებით არქიტექტურული პრაქტიკული საქმიანობა, რაც გულისხმობს ქალაქთმშენებლობით, შენობა-ნაგებობების, მათი ინტერიერების და დიზაინური ობიექტების დაპროექტებას.
- ფართო თეორიული ცოდნა არქიტექტურის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ფასეულობებისა და ღირებულებების, თანამედროვე არქიტექტურის საზოგადოებრივ - ისტორიული განვითარების ასპექტების შესახებ;
- არქიტექტურის საფუძვლების ცოდნა და სპეციალური მომზადება არქიტექტურის დარგში.

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- არქიტექტურის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. ქალაქთმშენებლობის, მოცულობითი არქიტექტურის, გარემოს დიზაინისა და ინტერიერის მიმართულებით პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების გაცნობიერება, სიახლეებისადმი ყურადღების მიღწევის, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლების უნარი;
- არქიტექტურის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად; მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- არქიტექტურის სფეროში არსებული მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, სტანდარტული მეთოდების გამოყენებით მათი გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება, პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;

- შემოქმედებითი იდეების, პროფესიული ინფორმაციის თუ საკუთარი აზრის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე;
- ცვალებად ვითარებაში არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა;
- არქიტექტურისთვის დამახასიათებელი პროფესიული ეთიკის, პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;

ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

გ) სწავლის შედეგები: არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქვს არქიტექტურის სფეროში ძირითადი თავისებურებებისა და პრინციპების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; • გაცნობიერებული აქვს არქიტექტურის არსი, ფერთა ჰარმონიის და კომპოზიციის კანონები და მათი, როგორც სივრცით აზროვნებაზე და პროპორციის შეგრძნებაზე ზემოქმედების მნიშვნელობა არქიტექტურული პროექტირების ფორმირებისათვის; • კურსდამთავრებულმა იცის: არქიტექტურის ისტორიის და თეორიის, სახვითი ხელოვნების, ბუნებრივ – კლიმატური ფაქტორების, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები, საპროექტო მასალის ვიზუალიზაციისთვის პროფესიული ხერხები; დაპროექტების თეორია და მეთოდები; სხვადასხვა კონსტრუქციები, მასალების თვისებები და მშენებლობის მეთოდები; არქიტექტურული გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სოციალური კონტექსტის გაცნობიერება; ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპები და შენობა-ნაგებობებზე გარე ფაქტორების ზემოქმედების ასპექტები, მშენებლობაში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები; სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციები, ტექნიკური მომსახურებისა და უსაფრთხოების სისტემები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია არქიტექტურული დაპროექტების პრობლემების გადასაჭრელად წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება; ბუნებრივ-კლიმატური, ქალაქთმშენებლობითი ფაქტორების, ფუნქციური, ესთეტიკური, ტექნიკური მოთხოვნების, ერგონომიკული თავისებურებების და კომპოზიციის კანონების გათვალისწინებით და შესაბამისი მითითებებით დაპროექტების უნარი; • ადგილობრივ და მსოფლიო არქიტექტურაში ისტორიული და კულტურული პრეცედენტების ცოდნის საფუძველზე ქმედების უნარი; ნატიფ ხელოვნებათა, როგორც არქიტექტურული პროექტის ხარისხზე ზეგავლენის მქონე ფაქტორის, ცოდნის საფუძველზე ქმედების უნარი • მოქმედი საკანონმდებლო აქტების და ნორმატიული წესების საფუძველზე, ნახაზების, სქემების, ჩანახატების, ესკიზების და მოდელირების გამოყენებით, დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლების მქონე პირის მითითებებით, არქიტექტურული პროექტების დამუშავების უნარი.
<p>დასკვნის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურისათვის დამახასიათებელი მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე არსებითი პრობლემების ამოცნობა; ლოგიკური აზროვნების საფუძველზე განყენებული მონაცემების, სიტუაციების, კონსტრუქციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და პროექტირებასთან დაკავშირებული სხვა საინჟინრო პრობლემების გაანალიზება და იდეურ-მხატვრული, ლოგიკური, ემოციური და ესთეტიკური არგუმენტაციის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი	<ul style="list-style-type: none"> • ლაკონურად და გასაგებად პროექტების წერილობითი აღწერის და საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემის უნარი • მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი; • აქვს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ პროფესიული ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი; • ფართო აუდიტორიის წინაშე პროექტის წარდგენისა და დაცვის უნარი; • იდეების ვიზუალური კომუნიკაციის ხერხებით (ჩანახატები, მაკეტები, მექანიკური, ელექტრონული, გრაფიკული) გადმოცემის და მათი საშუალებით საჭირო ზემოქმედების მოხდენის უნარი. • აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.
სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> • აქვს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარი; • აქვს პროფესიული ცოდნისა და არქიტექტურის სფეროში გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრისა და მუდმივად განახლების უნარი.
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> • იცნობს არქიტექტურის სფეროში საავტორო უფლებების, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ეთიკის კოდექსებით გათვალისწინებულ ნორმებს და მოწოდებულებას, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. • აქვს ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

დ) სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება
- სხვა

ე) **სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:** არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

ფარმაცია/ PHARMACY

სწავლების საფეხური: უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ინგლისური.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: ფარმაციის ბაკალავრი/Bachelor of Pharmacy

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS

პროგრამის სტატუსი: ავტორიზებული

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის მიზნები:

- სათანადო კომპეტენციის ლიბერალური ღირებულებების, პროფესიული ზრდასა და შემდგომ ეტაპზე სწავლის უნარის მქონე, პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – ბაკალავრების მომზადება ფარმაციის სპეციალობით, რომლებსაც შეეძლება: კვალიფიციური ფარმაცევტული დახმარების გაწევა, სამკურნალო საშუალებების წარმოება, ფარმაცევტული ანალიზის ჩატარება, ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვა და სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე.
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შედეგზე ორიენტირებული სპეციალისტის მომზადება ფარმაციის დარგში. რომელთაც გათვითცნობიერებული აქვთ ფარმაცევტის როლი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკაში და რომელთა ძირითადი უნარ-ჩვევები ეფუძნება ბაზისური ფარმაცევტული დისციპლინების საფუძვლიან ცოდნასა და პრაქტიკული საქმიანობის ჰარმონიზაციას;
- სტუდენტებისათვის ძირითადი საერთაშორისო სამედიცინო-ფარმაცევტული სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიცემა და უნარ-ჩვევების შემუშავება.
- სტუდენტებისათვის ფუნდამენტური და პროფილური საგნების ღრმა და საფუძვლიან შესწავლა და შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების უნარის ჩამოყალიბება;

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ამოცანები:

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტისათვის შემდეგი ცოდნის მიცემას:

- ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ურთიერთდაკავშირება, მოსახლეობის ფარმაცევტული დახმარების ორგანიზაცია და მართვა;

- შემეცნების თანამედროვე მეთოდების გამოყენება. ადამიანის ფსიქიკის ზოგადი და ინდივიდუალური თავისებურებების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში მასზე მოქმედება;
- უცხო და ლათინური სამედიცინო ფარმაცევტული ტერმინოლოგიის გამოყენება პროფესიონალური ურთიერთობების დროს;
- პროფესიონალური ამოცანების გადაწყვეტისათვის მათემატიკური მეთოდების გამოყენება;
- ძირითადი ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური კანონზომიერებების, შესაბამის პროცესებზე და მოვლენებზე ნორმაში და პათოლოგიის დროს ცოდნის გამიყენება;
- სუბსტანციების და სამკურნალო საშუალებების შემუშავების და ანალიზისთვის საჭირო აპარატურა-მანქანების გამოყენება;
- სამკურნალო საშუალებების შემუშავების დროს ნაერთის სტრუქტურასა და ფარმაცოლოგიურ მოქმედებას შორის, აგრეთვე მოქმედი ნივთიერების ქიმიურ აღნაგობას და ანალიზის მეთოდებს შორის კავშირის ცოდნის გამოყენება;
- მოსახლეობის სამკურნალო საშუალებებით უზრუნველსაყოფად მარკეტინგის მეთოდების გამოყენება;
- პროფესიის ზნეობრივი და ეთიკური პრინციპები და სამართლებრივი ვალდებულებების აღიარება;
- პაციენტებთან, კოლეგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთგაგების მიღწევის მიზნით საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გამომუშავება;
- ჯან.დაცვის სისტემების საფუძვლებისა და სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობაში თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმების გააზრების უნარის გამომუშავება;
- სამკურნალო პრეპარატებზე, მათ ფორმაზე, კლასიფიკაციაზე, ფარმაცოკინეტიკასა და ფარმაცოდინამიკაზე, ჩვენებასა და უკუჩვენებაზე, პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით დანიშნულებაზე, რეცეპტების გაფორმებაზე ცოდნის გამოყენება;
- ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგების დამუშავება და შეჯამება;
- მოსახლეობაში სანიტარულ-განმანათლებელი მუშაობის ჩატარება, ფარმაცევტული პერსონალის ხელმძღვანელობა;
- ორგანიზაციულ-მეთოდური თათბირებისა და სემინარების ჩატარება, მეთოდური მითითებების შედგენა;
- ფარმაცევტული და ფინანსურ-საანგარიშო დოკუმენტაციის გაფორმება, შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების ადეკვატური დამოკიდებულება ფარმაცევტული პროდუქციის სტანდარტიზირებისა და სერტიფიცირებისადმი, როგორც უმთავრესი კრიტერიუმისადმი მოსახლეობის მაღალხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო ფარმაცევტული პროდუქციით უზრუნველყოფის საკითხში;
- ფარმაცევტული ორგანიზაციის მართვისა და ადმინისტრირებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და საფუძვლის შექმნა საფუძველი სააფთიაქო ქსელში, ფარმაცევტულ საწარმოში, ანალიზურ ლაბორატორიასა თუ სახელმწიფო საჯარო სამსახურში სამუშაო ვაკანსიის მოსაპოვებლად და შემდგომი კარიერული ზრდისათვის;
- შეასწავლოს ფარმაცევტული პროდუქციის რეგისტრირების, საქონელბრუნვის, ხარისხის კონტროლისა და რეკლამირების მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები;

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p><u>ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს ფარმაციის დარგის შესაბამისი ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს. <p><u>დარგობრივი კომპეტენციები:</u> იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანის ორგანიზმის, ორგანოების, ორგანოთა სისტემების ფორმა და აგებულება. უჯრედთა ინტეგრაცია და ქსოვილთა წარმოქმნა, სხვადასხვა ქსოვილის სტრუქტურული და ფუნქციური ორგანიზაცია, მათი წარმოშობა. ადამიანის ორგანიზმში მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე მიმდინარე ძირითადი ბიოლოგიური პროცესები; • სასიცოცხლო პროცესების მოლეკულური მექანიზმების, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებები, როგორც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ნორმალური პროცესების, ასევე მათი დარღვევების დროს; • ცოცხალ ორგანიზმში შემავალ ნაერთთა ძირითად კლასების შედგენილობა, ნახშირწყლების, ცილების, ლიპიდებისა და სხვა ნაერთების ცვლა, პათოლოგიური პროცესები; • ყველა ქიმიური და ფარმაკოლოგიური ჯგუფი, მათი მოქმედების მექანიზმები, ფარმაკოლოგიური ეფექტები, ორგანიზმში შეყვანის, ბიოტრანსფორმაციის და ელიმინაციის გზები; რაციონალური ფარმაკოთერაპიის სფუძვლები. • მიკროსამყაროს (ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების) მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური თავისებურებები და ამ მიკროსამყაროს ურთიერთქმედება ადამიანთან, კერძოდ, იმუნურ სისტემასთან; • ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის საფუძვლები; • ფარმაცევტული დაწესებულებებისა და საწარმოების ორგანიზაციის პრინციპები, მართვისა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები; • ფარმაცევტული ნედლეულისა და პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და ანალიზის ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფუძვლები; • ფარმაცევტული პროდუქციის დამზადებისა და ანალიზის დროს გამოყენებული აპარატურა-მანქანების, ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები; • მათემატიკის ძირითადი საბაზო საკითხები;
-------------------------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> • იცნობს ფარმაციის დარგის მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; • აცნობიერებს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და პათოლოგიურ პროცესებს, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა როლს და მნიშვნელობას; • აცნობიერებს ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, შრობის, გადამუშავების, შენახვის წესების, ანალიზის, სტანდარტიზაციის მეთოდების დაცვის მნიშვნელობას უსაფრთხო, ეფექტური და ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქციის მიღებისას, როგორც აფთიაქის ასევე საწარმოს პირობებში; • აცნობიერებს ფარმაცევტულ პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების აუცილებლობას, ფარმაცევტული დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებს; • აცნობიერებს ფარმაციის დარგის ზოგად სტრუქტურას და ურთიერთკავშირებს ქვედარგებს შორის; • აცნობიერებს პროფესიულ პასუხისმგებლობას და შესაბამისი ეთიკურ ნორმების დაცვის აუცილებლობას;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><u>ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. <p><u>დარგობრივი კომპეტენციები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სტანდარტული მეთოდებით ნივთიერებათა მიღება და მათი ქიმიური ანალიზის პრაქტიკულად განხორციელება; • შეუძლია ბუნებრივი (მცენარეული, ცხოველური და მინერალური) და სინთეზური ნედლეულის დამზადება, გადამუშავება და შენახვა; • შეუძლია ფარმაცევტული პროდუქციის ქიმიური, ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი; • შეუძლია სამკურნალწამლო საშუალებების ექსტემპორალური დამზადება (რეცეპტის შესაბამისად) და ფარმაცევტული პროდუქციის სერიული წარმოება(რეგლამენტის შესაბამისად); • შეუძლია ფარმაცევტული პროდუქციის სტაბილურობის განსაზღვრა და ვარგისობის ვადების დადგენა; • შეუძლია ნედლეულის, სუბსტანციის და ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის კონტროლი. • შეუძლია აპარატურა-დანადგარების და ხელსაწყოების უსაფრთხოდ ექსპლოატაცია; • შეუძლია რაციონალური ფარმაცოთერაპიის აღმოჩენა; • შეუძლია ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა;

	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მათემატიკური მოდელის აგება; • გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს შეუძლია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; • აქვს სახელმწიფო სტანდარტებისა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენების უნარი; • შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე კითხვა, წერა, მოსმენა და მეტყველება; • ფლობს ფარმაცევტულ და სამედიცინო ტერმინოლოგიას; • ფლობს შესაბამის პრაქტიკულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს; • სხვისი ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია აბსტრაქტული მონაცემების გამოყენება საჭიროების მიხედვით, პრობლემის გადასაჭრელად; • შეუძლია მონაცემების ინტერპრეტაცია;
<p>დასკვნის უნარი</p>	<p><u>ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. <p><u>დარგობრივი კომპეტენციები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ფარმაცევტული საქმიანობის პროცესში ფაქტობრივი მონაცემების გააზრება-განალიზება და დასკვნის გაკეთება, წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე დასკვნის გაკეთება და მათი კვალიფიცირებული აღმოფხვრა; • შეუძლია ანალიზის მეთოდების გამოყენებით სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ნამდვილობასა და კეთილხარისხოვნებაზე დასკვნის გაკეთება. • დამოუკიდებლად შეუძლია ახალი და განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი ფარმაციაში სტანდარტული და ზოგიერთი ახალი მეთოდების გამოყენებით; • აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი მასალის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p><u>ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ ენაზე

	<p>და უცხოურ ენაზე; შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.</p> <p><u>დარგობრივი კომპეტენციები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია პროფესიულ თემებზე დისკუსიაში მონაწილეობა, შედეგების ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა; შეუძლია მომხმარებლისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება; • აქვს ინფორმაციებისა და საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ ფარმაციაში ეფექტურად გამოყენების უნარი; • შეუძლია ახალი პროფესიული მასალის მოძიება და პრეზენტაციის გაკეთება კოლეგებისა და მომხმარებლებისათვის, როგორც ქართულ ასევე უცხოურ ენაზე; • აქვს ჯგუფში და ინდივიდუალურად მუშაობის უნარი; • აქვს ვერბალური და წერიტი კომუნიკაციის უნარი; • აქვს ახალ სიტუაციაში ადაპტირების უნარი;
<p>სწავლის უნარი</p>	<p><u>ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. <p><u>დარგობრივი კომპეტენციები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • გააჩნია პროფესიული და კარიერული ზრდის მიზნით სწავლის უნარი; • აქვს შემდგომ საფეხურზე სწავლის უნარი; • შეუძლია პროფესიულ თემებზე დისკუსიაში მონაწილეობა, შედეგების ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა; • გააჩნია დამოუკიდებლად სასწავლო კომპონენტების შერჩევისა და სწავლის დაგეგმვის უნარი,
<p>ღირებულებები</p>	<p><u>ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. <p><u>დარგობრივი კომპეტენციები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია პროფესიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანა აქტიური პაქტიკული ჩართულობით,

	<p>აზრთა და შედეგთა გაზიარება;</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სხვათა აზრის და დამოკიდებულებისადმი პატივისცემის თვისებათა გამომუშავება; • შეუძლია პროფესიული პრობლემების ხედვა მულტიკულტურულ კონტექსტში; • გააჩნია ფარმაცევტულ პრაქტიკაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვისა და გამოყენების უნარი; • პროფესიული პატიოსნების თვისების ჩამოყალიბება, პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული საქმიანობის ხარისხიანად შესრულებაზე; • იცავს მომხმარებლის ინტერესებს; • გააჩნია გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებების შეგნება;
--	---

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა: უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 შესაბამისად. სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების ფორმაა წერიითი ან კომბინირებული (წერიითი და ზეპირი) გამოცდა. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა: უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 შესაბამისად. სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების ფორმაა წერიითი ან კომბინირებული (წერიითი და ზეპირი) გამოცდა. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები.

შეფასება ხორციელდება შემდეგი სქემის თანახმად:

დადებით შეფასებად ითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ითვლება:

(FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, იმის გათვალისწინებით, რომ დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 კალენდარული დღისა.

(F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თითველი სასწავლო კურსის სილაბუსში დაკონკრეტებულია შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები.

სამაგისტრო პროგრამები

სამართალი/LAW

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი / Master of Law

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ინგლისური ენაზე სწავლების კომპონენტებით

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი

პროგრამის მიზნები:

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა:

- კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლისა და შედარებითი სამართალმცოდნეობის სფეროში;
- ეროვნული და უცხოური სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღწევის, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;

- სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი;
 - დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი;
 - სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების კონტექსტუალური ანალიზის უნარი;
- თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის ფარგლებში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<http://eeu.edu.ge>)
 სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი.

B 2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა	
ტოიფელი (TOEFL PBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა
ტოიფელი (TOEFL IBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

სწავლის შედეგები

სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება	<ul style="list-style-type: none"> აქვს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას; გაცნობიერებული აქვს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<ul style="list-style-type: none"> განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია კერძო-სამართლებრივი, სისხლისსამართლებრივი ან საჯარო-სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, შეუძლია უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
დასკვნის უნარი	<ul style="list-style-type: none"> ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა ან მეცნიერული მიდგომების (მათ შორის, უახლესი კვლევების) პირობებში შეუძლია ცვლილების ანალიზი და დასაბუთებული სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება.
კომუნიკაციის უნარი	<ul style="list-style-type: none"> შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები.
სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრის უნარი; პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით ცოდნის გაფართოების უნარი.
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად არსებული სამართლებრივი ღირებულებების ანალიზისა და საჭიროების შემთხვევაში, ახალი ღირებულებების ფორმირებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი; პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვისა და ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე პროფესიული ქცევის უნარი.

სწავლება-სწავლის მეთოდი

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება
- სხვა

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი

ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
------------	------------------------

(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი: ზვიად როგავა ტ. 599252552.

ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)/ BUSINESS ADMINISTRATION (FINANCE)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში Master of Business Administration in Finance

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზნებია: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფინანსებში მიზანია ფინანსების მართვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ფინანსების, საბანკო საქმის, ფულად-საკრედიტო სისტემის სფეროებში.

ფინანსების სამაგისტრო პროგრამა გარდა თეორიული კურსებისა, მოიცავს ინტერაქტიურ სემინარებსა და ტრენინგს, პრეზენტაციებსა და ჯგუფურ მუშაობას, სამაგისტრო სემინარში აქტიურ მონაწილეობას და სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობას, რის შედეგადაც მაგისტრს გაუადვილდება როგორც ფინანსების სფეროში არსებული თეორიული პრობლემების ანალიზი, ისე რეალურ ბიზნეს-სიტუაციებში გარკვევა და მათი მართვა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა, საერთო სამაგისტრო გამოცდა, გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში B2 დონის შეხამისად, საქართველოს მოქალაქეებისთვის. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული განსხვავებული წესი უცხოეთის მოქალაქეებისთვის.

სწავლის შედეგები: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფინანსებში კურსდამთავრებული, როგორც ლიდერი, ქმნის ბიზნესის ფინანსების მართვის სისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურას, აყალიბებს ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ კულტურას, სახავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს გადასაჭრელად; შეუძლია საკუთარი და სხვისი მუშაობის შედეგების ობიექტური შეფასება, რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება, საკუთარი მაგალითით თანამშრომლების დადებითი ენერჯით დამუხტვა, დადებითი მიზნების მოტივირება და სტიმულირება; ფლობს სრულ ინფორმაციას და არის თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებაში, ფსიქოლოგიურად არის მომზადებული სწრაფად ცვალებად გარემოში მუშაობისათვის; ორიენტირებულია

პროცესზე, დინამიკურ და მოულოდნელ სიტუაციებში იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს და მინიმუმამდე დაყავს განუსაზღვრელობის რისკი.

პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის მართვის, მარკეტინგული ანალიზის, ბიზნესის შეფასების, ეკონომიკის დინამიკური განვითარების თანამედროვე კონცეფციები და მეთოდები; • ფინანსური რესურსების მართვის საფუძვლები; ფინანსური სისტემის თავისებურებები და ფინანსური ბაზრების თეორია; რისკების მართვა; ფინანსური შუამავლები, როგორც ფინანსური სისტემის რგოლი; კაპიტალის ფასი და კაპიტალის სტრუქტურის მართვა; სახელმწიფო ფინანსები, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილი და მისი მართვა. • სავალუტო ბაზრის მუშაობის პრინციპები და რისკების მართვა; საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობა და ანგარისშწორება; სავალუტო კურსის ფორმირების და მართვის ტრადიციული მაკროეკონომიკური მეთოდები; საპროცენტო განაკვეთებზე მოქმედი ფაქტორები საფინანსო კრიზისის ფონზე; მსოფლიო საფინანსო ბაზრის ტენდენციები. • ინვესტიციების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; საინვესტიციო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა; საინვესტიციო პროექტის არსი და მისი ანალიზი; საინვესტიციო პროექტების ფულადი ნაკადების ანალიზი და შეფასება. • კორპორაციული მართვის პრინციპები საფინანსო დაწესებულებებში; შიდა კორპორაციული დოკუმენტები; სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურობა და ფუნქციების გამიჯვნა; დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტი; კორპორაციული მდივნის როლი; აქციონერთა და დაინტერესებულ მხარეთა უფლებები. • თანამედროვე საფინანსო სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემების გამოვლენის, ანალიზისა და შეფასების თანამედროვე ხერხები და მეთოდები, ტექნიკა და ტექნოლოგია; ფინანსური ინსტიტუტების ბიზნეს-პროცესების რეორგანიზაციის განხორციელების თანამედროვე მექანიზმი. • ფასიანი ქაღალდების ბაზარის ფუნქციონირების სისტემური აღწერა; ფასიანი ქაღალდების მიმართ წაყენებული ფუნდამენტური მოთხოვნების ფორმულირება; ფასიანი ქაღალდების განთავსების წესების აღწერა; ფულადი ბაზრის, კაპიტალის ბაზრისა და სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტების დეტალური დახასიათება; საფინანსო შუამავლების ტიპებისა და მათი ფუნქციების განსაზღვრა. <p>კურსდამთავრებული აცნობიერებს:</p>
-------------------------------------	---

	<ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის ადმინისტრირების როლს ბიზნესის მართვაში; მარკეტინგული ანალიზის და სტრატეგიული მენეჯმენტის როლს ბიზნესის განვითარებაში; • ფინანსური მენეჯმენტის როლს ფინანსური რესურსების მართვაში; ფინანსური ინფრასტრუქტურის და ფინანსური სისტემის რეგულირების მნიშვნელობას და მეთოდებს; ფინანსური ანგარიშგების, როგორც რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალების როლს; ფინანსების როლს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში. • საერთაშორისო სავალუტო ბაზრის მართვის როლს; საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობის და ანგარისშწორების მეთოდებს; მსოფლიოს წამყვანი საკრედიტო ბაზრების მუშაობის თავისებურებებს და ბანკთაშორის საკრედიტო ბაზარს როლს; საერთაშორისო საბანკო ურთიერთობების არსს და საქართველოს ამ სისტემაში ინტეგრირების მნიშვნელობას. • საინვესტიციო პროექტის შეფასების და ანალიზის მნიშვნელობას; ბიზნეს-გეგმის შედგენის მიზნებს და მეთოდებს; ბიზნეს-გეგმის როლს ინვესტიციური პროექტების დასაბუთებაში; საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის ანალიზის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას. • ფასიანი ქაღალდების ბაზრის, კაპიტალის ბაზრისა და სავალუტო ბაზრის განვითარების კანონზომიერების მნიშვნელობას; ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის განვითარების ტენდენციების შესწავლის მნიშვნელობას; ფასიანი ქაღალდების ბაზრის მართვისა და ზედამხედველობის სისტემების განვითარების მნიშვნელობას.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის მენეჯმენტის, ბიზნესის შეფასების, მარკეტინგული ანალიზის მეთოდების გამოყენება პრაქტიკული ბიზნესის განვითარების შეფასებაში და დაგეგმვაში; • ფინანსური სისტემის თავისებურებების გამოვლენა და დახასიათება; ფულადი საშუალებების განაწილება და საპროცენტო განაკვეთებზე მოქმედი ფაქტორების შეფასება; ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს რისკების გამოვლენა და შეფასება; კაპიტალის ფასის განსაზღვრა და კაპიტალის სტრუქტურის მართვა; სახელმწიფო ფინანსების, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილის დახასიათება და მისი მართვა; ანტიკრიზისული მენეჯმენტის ფინანსური მექანიზმების გამოყენება; ფინანსური ინფრასტრუქტურის დახასიათება და ფინანსური სისტემის რეგულირებაში მონაწილეობა. • სავალუტო ოპერაციების თამაშის წესების და ვაჭრობის ტექნოლოგიების გამოყენება; საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე მუშაობა ელექტრონული არხებით; სავალუტო კურსის ფორმირების და მართვის ტრადიციული მაკროეკონომიკური მოდელის დახასიათება. • ბიზნეს-გეგმის როლის აღწერა ინვესტიციური პროექტების დასაბუთებაში; საბანკო საქმიანობაში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება; რეგულირების უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით კომერციული ბანკის ფუნქციონირების ოპტიმალური და მაქსიმალურად ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება. • ფინანსური რისკების გონივრული მართვა; თეორიული კონცეფციების პროფესიულ საქმიანობაში გადატანა; საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმვა და მათ ფორმირებაში გადასახადების როლის შეფასება; საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და

	<p>მისი ოპტიმიზაცია.</p> <ul style="list-style-type: none"> • ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე სუბიექტების ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვალიფიციური ანალიზი და მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიება; ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის განსაზღვრის მეთოდების შერჩევა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციების შეფასება; ფინანსური ბაზრის ცალკეული სეგმენტის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის მართვის სფეროში საკვანძო პრობლემების გამოყოფის და მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბების უნარი; • ფინანსების სფეროში არსებული პრობლემების ამოცნობისა და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; • ლიტერატურული წყაროებისა და პრაქტიკული მონაცემების ანალიზის გზით დასაბუთებული დასკვნების შემუშავების უნარი; • საერთაშორისო საზედამხედველო მოთხოვნების, ნორმატივების, ლიმიტებისა და კოეფიციენტების ანალიზის საფუძველზე საბანკო საქმიანობაში არსებულ პრობლემათა კვლევისა და შედეგთა განზოგადების უნარი; • ინვესტიციური პროექტების შედგენისა და შესრულების პროცესში წარმოშობილი პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; • ფინანსების სფეროში არსებული პრობლემატიკისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეფერატული სახის ნაშრომის, საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებისა და მისი პრეზენტაციის უნარი; • ფინანსების სფეროში საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბების, პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან მათი წარდგენის უნარი წერილობით და ზეპირად; • დებატებში მონაწილეობის, არგუმენტირებული არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენის უნარი; • იდეებისა და ინფორმაციის ლოგიკური თანმიმდევრობით გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის, პროფესიული და აკადემიური საზოგადოებისათვის უახლესი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. • უცხოურენოვანი ლიტერატურისა და სხვა საინფორმაციო რესურსების მოძიების, გაგებისა და გადმოცემის უნარი
<p>სწავლის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვის და წარმართვის უნარი; • სწავლის პროცესის სპეციფიკის გააზრების და მისი სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი; • ქართულ და უცხოენოვან სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • ცოდნის რეგულარულად განახლების უნარი დარგობრივი ლიტერატურის კითხვით;

	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის შემდგომი გაგრძელების უნარი.
ღირებულებები	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგადად ბიზნესის და უშუალოდ ფინანსების სფეროში არსებული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი; • ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი; • ბიზნესის ეთიკური ნორმების პატივისცემა და მათი დაცვის უნარი; • პროფესიული ეთიკის ნორმების, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვი უნარი

დ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსებში) სამაგისტრო პროგრამის სწავლების პროცესში გამოყენებულია უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.

ე) სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა: ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსებში) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; დ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (სამაგისტრო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე და სხვ.) მუშაობას; ე) სამაგისტრო ნაშრომის დაცვას. სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (სემინარებზე აქტიურობა, დასკვნითი გამოცდა და შუალედური შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50%. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების შემთხვევაში შესაძლოა დაუგროვდეს 51 ქულა. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ბალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, თუ მან მიიღო FX (41-50 – ვერ ჩააბარა) შეფასება; საგანში დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარული დღისა.

საკონტაქტო პირი: რუსუდან ჩიქოვანი ტ. 577505354. ავთანდილ გაგნიძე ტ. 577565999.

ადამიანური რესურსების მართვა/Human Resources Management

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი / Master of Human Resources Management

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

აეუ ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 78 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსები (18 კრედიტი ბიზნესის ადმინისტრირების პროფილის სავალდებულო სასწავლო კურსები, 6 კრედიტი საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი, 54 კრედიტი ადამიანური რესურსების მართვის პროფილის სავალდებულო სასწავლო კურსები), 12 კრედიტი კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები);
- 6 კრედიტი პრაქტიკა;
- 24 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: ქართული.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა) პროგრამის მიზნებია: ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, გამოუმუშავოს სტუდენტს შესაბამისი პრაქტიკული უნარები; მოამზადოს სტუდენტი დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის ადამიანური რესურსების მართვის პროფილით (შესაბამის სფეროში კვლევების საწარმოებლად და პრაქტიკული საქმიანობისთვის).

ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩარიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის ფარგლებში (B2 დონე).

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სრული ან არასრული კურსი ევროპაში და/ან აშშ-ში

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

გ) სწავლის შედეგები: ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს	კურსდამთავრებული ფლობს დარგობრივ ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების შემდეგ სფეროებში:
-----------------------	---	--

	<p>ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს</p>	<p>მარკეტინგი, ფინანსური, ორგანიზაციული და სტრატეგიული მენეჯმენტი;</p> <p>გარდა ამისა, კურსდამთავრებულს აქვს:</p> <p>ადამიანური რესურსების მართვის სფეროს დრმა და სისტემური ცოდნა, რის საფუძველზეც მას შეუძლია შესაბამის სფეროში ორიგინალური იდეების შემუშავება, ცალკეული თეორიული და პრაქტიკული, კვლევითი და პროფესიული პრობლემის იდენტიფიცირება და მისი გადაჭრის გზების მოძიება;</p> <p>კურსდამთავრებულმა იცის:</p> <p>ადამიანური რესურსების მართვის, ორგანიზაციული ქცევის თეორიები, კონცეფციები, პრინციპები და მეთოდები;</p> <p>თანამშრომელთა შერჩევისა და პროფესიული განვითარების, ტალანტის მართვის, თანამშრომელთა შეფასებისა და კომპენსაციის სისტემების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები;</p>
--	---	--

		მონაცემთა ანალიზისა და ფსიქოლოგიაგნოსტიკის მეთოდები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით	კურსდამთავრებულს შეუძლია: ადამიანური რესურსების მართვის სფეროში კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა; ადამიანური რესურსების მართვის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით; მონაცემთა ანალიზი და ფსიქოლოგიაგნოსტიკა; თანამშრომელთა შერჩევა, მათი პროფესიული განვითარება, ტალანტის მართვის, თანამშრომელთა შეფასება;
დასკვნის უნარი	რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული	კურსდამთავრებულს აქვს: ადამიანური რესურსების მართვის სფეროში შემავალი რთული და კომპლექსური პრობლემების კრიტიკული ანალიზის შედეგად ლოგიკური დასკვნებისა და არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი;

	<p>ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი</p>	<p>ადამიანური რესურსების მართვის სფეროში არსებული უახლესი ინფორმაციის, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (თეორიებისა და კონცეფციების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;</p> <p>ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მიღებული უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <p>აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ადამიანური რესურსების მართვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართულად და ინგლისურად ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი მოსაზრებების, იდეების, არგუმენტებისა და დასკვნების გაზიარების მიზნით;</p> <p>სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობისა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვითა და სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამოყენებით;</p> <p>საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და ინგლისურ ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და</p>

	გათვალისწინებით	სტანდარტების დაცვით; ადამიანური რესურსების მართვის სფეროში უახლესი ელექტრონული რესურსების – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
სწავლის უნარი	სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე	კურსდამთავრებულს აქვს: სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვის უნარი; ადამიანური რესურსების სფეროში არსებული არსებული, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული პუბლიკაციების, ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად და ეფექტურად მოპოვების უნარი; ადამიანური რესურსების მართვის სფეროში დამოუკიდებლად სწავლისა და სამეცნიერო კვლევის გაგრძელების უნარი; საკუთარი დროისა და საქმიანობის დაგეგმვის უნარი.
ღირებულებები	ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში	კურსდამთავრებულს აქვს: საკუთარი პროფესიისადმი, დაკისრებული მოვალეობებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა; პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა და მათ მიმართ პატივისცემის

	წვლილის შეტანა	<p>გრძნობა;</p> <p>ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი;</p> <p>ეთიკური და სამართლებრივი ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობა;</p> <p>ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ღირებულებების მიმართ თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი;</p> <p>ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი;</p>
--	----------------	---

დ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის სწავლების პროცესში გამოყენებულია განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ნაწილობრივ ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, პრაქტიკული მეცადინეობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.

გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით დაგეგმილია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია სწავლების/სწავლის ის კონკრეტული მეთოდი/მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნებს და მისაღწევ (დაგეგმილ) სწავლის შედეგებს, ხოლო, სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები, თავის მხრივ, სრულ შესაბამისობაშია პროგრამით მისაღწევ შედეგებთან. ამდენად, სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სწავლების/სწავლის მეთოდების ერთობლიობა ქმნის პროგრამის სწავლების/სწავლის ერთიან მეთოდოლოგიას.

ე) სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, და სხვ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	

(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი: ლილი ბიბილაშვილი ტ. 577042122.

განათლების კვლევები და ადმინისტრირება/Educational Research and Administration

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერებების მაგისტრი/Educational Research and Administration

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: 120

სწავლების ენა: ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით (სასწავლო კურსების ნაწილი იკითხება ინგლისურ ენაზე ქართველი და უცხოელი ლექტორების მიერ)

პროგრამის მიზნებია: განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა *განათლების კვლევების/განათლების ადმინისტრირების* მიმართულებით, გამოუმუშავოს სტუდენტს შესაბამისი პრაქტიკული უნარები; მოამზადოს სტუდენტი დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის განათლების მეცნიერებების ფართო პროფილით (განათლების სფეროში კვლევების საწარმოებლად და პრაქტიკული საქმიანობისთვის ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩარიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის ფარგლებში (**B2 დონე**).

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სრული ან არასრული კურსი ევროპაში და/ან აშშ-ში.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის შედეგები: განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p><i>აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს</i></p>	<p>განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა: კურსდამთავრებულმა იცის: განათლების მეცნიერებების შესაბამისი (არჩეული) სფერო ღრმად და სისტემურად; საქართველოს განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები და თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები; განათლების მეცნიერებების სფეროში არსებული ცალკეული თეორიული და პრაქტიკული პრობლემის გადაჭრის გზები; განათლების კვლევების მოდული: კურსდამთავრებულმა იცის: განათლების ფილოსოფიის თეორიები, კონცეფციები, პრინციპები და მეთოდები; განათლების ეკონომიკისა და სახელმწიფო პოლიტიკის, შედარებითი პედაგოგიკის თეორიები, კონცეფციები და პრინციპები; სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები; განათლების მეცნიერებებში გამოყენებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდები; განათლების ადმინისტრირების მოდული: კურსდამთავრებულმა იცის:</p>
-------------------------------------	--	--

		<p>კონცეპტუალური სხვაობანი ლიდერსა და მენეჯერს შორის; განათლების ადმინისტრირების ყველა ძირითადი ასპექტი: ბიუჯეტი და ფინანსები, ადამიანური რესურსების მართვა, სტრატეგიული დაგეგმვა, მარკეტინგი და სხვ.; თანამედროვე განათლების სისტემაში არსებული ხარისხის მართვის ძირითადი სისტემები; ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების კურიკულუმის შემუშავების ძირითადი თეორიები, პრინციპები და მეთოდები; სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს ზოგად ან უმაღლესი განათლებასთან დაკავშირებული არჩევითი საგნების ბლოკი და შეიძინოს ცოდნა შემდეგი მიმართულებით: მულტიკულტურული და ინკლუზიური განათლება, გენდერული პრობლემატიკა, განათლების ფსიქოლოგია და ზრდასრულთა განათლება, კლასის და უმაღლესი განათლების სისტემის მართვა, რესურსების განვითარება, საერთაშორისო განათლება და განათლების სისტემების შედარება, ბოლონიის პროცესი და საქართველო.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><i>ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა</i></p>	<p>განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა: კურსდამთავრებულს შეუძლია: საგანმანათლებლო სფეროში არსებული თეორიული და პრაქტიკული, კონცეპტუალური და ორგანიზაციული პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი გადაჭრის გზების მოძიება; განათლების მეცნიერებების სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით; თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენება; განათლების კვლევების მოდული: კურსდამთავრებულს შეუძლია: რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება სამეცნიერო კვლევასა და პრაქტიკულ საქმიანობაში; განათლების ადმინისტრირების მოდული:</p>

	და მიდგომების გამოყენებით	კურსდამთავრებულს შეუძლია: ბიუჯეტის მართვა და ფინანსური რესურსების მიზნობრივად და რაციონალურად განაწილება; კადრების მოზიდვა, შეფასება და მათი მუდმივი განვითარება; ანგარიშვალდებულების სისტემების განვითარება და მართვა; საგანმანათლებლო ბაზრის კვლევის წარმოება ინდივიდუალურად და დამკვეთის მოთხოვნების გაანალიზება.
დასკვნის უნარი	რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი	კურსდამთავრებულს აქვს: მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უნარი; განათლების მეცნიერებების სფეროში შემავალი რთული და კომპლექსური პრობლემატიკის კრიტიკული ანალიზის შედეგად ლოგიკური დასკვნებისა და არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი; განათლების მეცნიერებების სფეროში არსებული უახლესი ინფორმაციის, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (თეორიებისა და კონცეფციების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; განათლების მეცნიერებების სფეროში მიღებული უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი.
კომუნიკაციის უნარი	თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების	კურსდამთავრებულს აქვს: აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან განათლების მეცნიერებების აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართულად და ინგლისურად ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი მოსაზრებების, იდეების, არგუმენტებისა და დასკვნების გაზიარების მიზნით; სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობისა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვითა და სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის

	<p>სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით</p>	<p>გამოყენებით; საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და ინგლისურ ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; განათლების მეცნიერებების სფეროში უახლესი ელექტრონული რესურსების – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <p>სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვის უნარი; განათლების მეცნიერებების სფეროში არსებული, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული პუბლიკაციების, ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად და ეფექტურად მოპოვების უნარი; განათლების მეცნიერებების სფეროში დამოუკიდებლად სწავლისა და სამეცნიერო კვლევის გაგრძელების უნარი; საკუთარი დროისა და საქმიანობის დაგეგმვის უნარი; კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება განათლების შემდგომ, დოქტორანტურის საფეხურზე.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <p>საკუთარი პროფესიისადმი, დაკისრებული მოვალეობებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა; პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა და მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა; ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი; ეთიკური და სამართლებრივი ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობა; განათლების მეცნიერებებთან დაკავშირებული ღირებულებების მიმართ თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი;</p>

	განათლების მეცნიერებებთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი.
--	--

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები მიიღწევა ტრადიციული და თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების კომბინირებით, სწავლება- სწავლის მეთოდები - ლექციები, სამუშაო ჯგუფები, სემინარები, პრაქტიკული მუშაობები მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირება, ანალიზი და სინთეზი, წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ახსნა-განმარტება, როლური და სიტუაციური თამაშები, ნაწილობრივ ელექტრონული სწავლება და სხვ. სტუდენტები ასრულებენ წერით დავალებებს, წარადგენენ რეფერატებსა და პროექტებს.

გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით, ასევე, სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია სწავლების/სწავლის ის კონკრეტული მეთოდი/მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნებს და მისაღწევ (დაგეგმილ) სწავლის შედეგებს, ხოლო, სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები, თავის მხრივ, სრულ შესაბამისობაშია პროგრამით მისაღწევ შედეგებთან. ამდენად, სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სწავლების/სწავლის მეთოდების ერთობლიობა ქმნის პროგრამის სწავლების/სწავლის ერთიან მეთოდოლოგიას.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა: განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის დებულების შესაბამისად.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (დასკვნითი გამოცდა და შუალედური შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;

- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, თუ მან მიიღო **FX (41-50 – ვერ ჩააბარა)** შეფასება; საგანში დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარული დღისა.

შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. თითოეულ სასწავლო კურსში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი შეფასებისთვის. დასკვნითი შეფასების მინიმალური გამსვლელი ქულა არ უნდა აღემატებოდეს დასკვნით შეფასების 60%-ს.

საკონტაქტო პირი: : რუსუდან ჩიქოვანი ტ. 577505354. ქეთევან აფთარაშვილი ტ. 591936777.

საჯარო მმართველობა PUBLIC ADMINISTRATION

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი / Master of Public Administration

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი

პროგრამის მიზნები: საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე საჯარო ადმინისტრირების მოთხოვნების შესაბამისად მომავალი საჯარო მოხელის მომზადება, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო მართვისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპების, საჯარო მმართველობის თეორიების, საჯარო მოხელესათვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციებისა და ეკონომიკური სტანდარტების სფეროში,

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- საჯარო მმართველობის სფეროში მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღწევის, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- საჯარო მმართველობის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და საჯარო დაწესებულებებში საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- საჯარო მმართველობის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- საჯარო მმართველობის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი;
- დამოუკიდებელი კვლევის უნარი;

სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების კონტექსტუალური ანალიზის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო

გამოცდების საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის ფარგლებში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<http://eeu.edu.ge>)

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი.

B 2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა

ტოიფელი (TOEFL PBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა
ტოიფელი (TOEFL IBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

სწავლის შედეგები

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება	<p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს საჯარო მმართველობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც კურსდამთავრებულს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, • აქვს საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის კონტექსტის, თეორიისა და პრაქტიკული ასპექტების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა. • გაცნობიერებული აქვს საჯარო მმართველობის სფეროში ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ახალ გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; • შეუძლია საჯარო მმართველობის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება; • შეუძლია უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება; • აქვს პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ხედვა, პოლიტიკის ანალიზის უნარ-ჩვევები მას საშუალებას აძლევს გამოიყენოს ეს ცოდნა და უნარები, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში მუშაობის პროცესში.
დასკვნის უნარი	<p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; • შეუძლია უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.
კომუნიკაციის უნარი	<p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი დასკვნები, არგუმენტები და კვლევის მეთოდები.

სწავლის უნარი	<p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვა, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.
ღირებულებები	<p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> ლექცია <input checked="" type="checkbox"/> სამუშაო ჯგუფში მუშაობა <input checked="" type="checkbox"/> პრაქტიკული მუშაობა <input checked="" type="checkbox"/> სემინარი <input type="checkbox"/> ელექტრონული რესურსით სწავლება <input type="checkbox"/> ელექტრონული სწავლება <input checked="" type="checkbox"/> სხვა

<p>სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა</p>
<p>საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და</p>

მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p> <p>საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ვასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).</p> <p>საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:</p>	
ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა

	გადამუშავებული კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი: ზვიად როგავა, ტელ. 599252552.

აგრობიზნეს მენეჯმენტი / AGRO-BUSINESS MANAGMENT

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): აგრობიზნესის მენეჯმენტის მაგისტრი /Master of Agribusiness Managment (მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში).

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

პროგრამის მიზნები:

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სფეროში.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღევენების, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სფეროში პრობლემების დამოუკიდებლად საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების და ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- დამოუკიდებელი კვლევის უნარი;
- ეთიკური ღირებულებების კონტექსტუალური ანალიზის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის ფარგლებში.

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი ევროპაში და/ან აშშ-ში.

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org)

ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო)

მესამე დონე ითვლება გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას უნდა შეეძლოს როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას განვითარებული აქვს მეტი მოქნილობა და უნარი, რომ შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა ენის უცვლელ ნიმუშებსა და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას ზრდილობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა ისაუბროს ოფიციალურ სიტუაციაში. B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს საოფისე სამუშაო და გაიაროს არაკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს

<p>(მაგალითად იმ ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ). ამ დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეეძლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯრის პოზიციებზე და ზოგ ინდუსტრიაში, განსაკუთრებით ტურიზმში.</p>	
<p>საუბარი:</p>	<p>სწავლისას, ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია დასვას შეკითხვები ლექციაზე ან პრეზენტაციისას მისთვის ნაცნობ ან პროგნოზირებად თემაზე, თუმცა გარკვეული სირთულეებით. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სემინარსა და წვრთნებში, თუმცა ისევ და ისევ გარკვეული სირთულეებით.</p>
<p>წერა:</p>	<p>ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია შეზღუდული გამოყენებისათვის ან შემდგომი გადამუშავების მიზნით ჩაიწეროს შენიშვნები ლექციებსა და სემინარებზე, თუმცა დამატებითი დროის უქონლობის შემთხვევაში შეექმნება სირთულეები. მას შეუძლია ამოიწეროს შენიშვნები წერილობითი წყაროებიდან, თუმცა შეიძლება გამოიჩინოს მთავარი საკითხები. მას შეუძლია დაწეროს ესე, რომელშიც გადმოსცემს თავის აზრს, ან დაწეროს ექსპერიმენტის ანგარიში, რომელშიც ნაჩვენებია იქნება შესრულებული სამუშაოს ძირითად შინაარსი.</p>
<p>კითხვა:</p>	<p>მისი კითხვის უნარი აღემატება ყოველდღიური წერილებისა და ძირითადი საგაზეთო/ჟურნალის სტატიების გაგების უნარს. მას შეუძლია გაეცნოს მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ფაქტობრივ ინფორმაციას და საკუთარი გემოვნებით შერჩეულ მხატვრულ ლიტერატურას. მას შეუძლია თავი გაართვას მცირე მოცულობის მოხსენებებსა და სტატიებს პროგნოზირებად თემებზე და გაიგოს მისთვის ნაკლებად ცნობილ თემაზე სტატიის ან მოხსენების ზოგადი შინაარსი, თუმცა ინფორმაციის ბუნდოვნად გამოხატვის შემთხვევაში არასწორად გაგებაა მოსალოდნელი. ამ დონეზე ენის მცოდნე არის ენაში საკმარისად გაწაფული იმისათვის, რომ დასძლიოს არაკადემიური ტრენინგები, რომლებიც სასწავლო ენაზე ტარდება. ამ დონეზე ენის მცოდნეს შეუძლია დაძლიოს ლექციის, პრეზენტაციის მასალა მისთვის ნაცნობ სფეროში ან იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტს კარგად იცნობს, თუმცა შეიძლება შეექმნას სირთულეები აბსტრაქტული არგუმენტაციის გაგებისას. მას შეუძლია წაიკითხოს მარტივი სახელმძღვანელოები და სტატიები, თუმცა არც ისე სწრაფად, რომ დასძლიოს აკადემიური კურსი.</p>
<p>მოსმენა:</p>	<p>სწავლისას, მას შეუძლია გაიგოს მისთვის ნაცნობ თემაზე ლექციის ზოგადი შინაარსი.</p>

B 2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა

ტოიფელი (TOEFL PBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა
ტოიფელი (TOEFL IBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<http://eeu.edu.ge>)

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის შედეგები:

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქვს აგრო ბიზნესის მართვის, მარკეტინგული ანალიზის, აგრო ბიზნესის შეფასების, ეკონომიკის დინამიკური განვითარების თანამედროვე კონცეფციებისა და მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას; • გაცნობიერებული აქვს აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია აგრო ბიზნესის მართვის სფეროში პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება; • შეუძლია უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით აგრო ბიზნესის მართვის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
<p>დასკვნის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ცვლილების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, ასევე აგრო ბიზნესის მართვის სფეროში საკვანძო პრობლემების გამოყოფა და მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • აგრო ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები.
<p>სწავლის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა; • პირველადი წყაროების და სამეცნიერო სტატიების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით შეუძლია უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით ცოდნის გაფართოება.
<p>ღირებულებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქვს აგრო ბიზნესის სფეროში არსებული ღირებულებების ანალიზისა და საჭიროების შემთხვევაში, ახალი ღირებულებების ფორმირებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი; • აქვს ბიზნესის ეთიკური ნორმების პატივისცემისა და მათი დაცვის უნარი;

	<ul style="list-style-type: none"> • აქვს პროფესიული ეთიკის ნორმების, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვის უნარი
--	---

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება
- სხვა

კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი აქტივობები, როგორებიცაა დემონსტრირება, დისკუსია/დებატები, ჯგუფური (**collaborative**) მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, ახსნა-განმარტება, თანამშრომლობითი სწავლება, გონებრივი იერიში, ანალიზი და სინთეზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, და სხვა. აღნიშნული აქტივობების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკული მეცადინეობის და სხვ. ფორმატში.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

ურბანული დაგეგმარება

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): არქიტექტურის მაგისტრი/Master of Architecture

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

პროგრამის მიზნები:

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა:

- ურბანული დაგეგმარების სფეროში;
- ურბანული დაგეგმარების სისტემების ძირითადი თავისებურებების, არსებული პრობლემების იდენტიფიცირების, გარემოს შენარჩუნება-განვითარების და მასში ეკოლოგიურ, კულტურულ და საზოგადოებრივი ღირებულებების შესახებ.

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- ურბანულ დაგეგმარებაში ცვლილებების, თანამედროვე ნაგებობების ინტეგრირების, დაგეგმარების პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღწევის, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- ურბანული დაგეგმარების სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ურბანული დაგეგმარების სფეროში პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- ურბანული დაგეგმარების სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი;
- დამოუკიდებელი კვლევის უნარი;
- არქიტექტურული ღირებულებების კონტექსტუალური ანალიზის უნარი;
- თანამედროვე თავისებურებების გაანალიზება, სტრატეგიულად დაგეგმვა და ინოვაციური აზროვნების უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს არქიტექტურის ბაკალავრის ან სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ინგლისური ენის B2 დონეზე სავალდებულო ფლობის მოთხოვნით, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების (კლაუზურის) საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობის.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების (კლაუზურის) სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<http://eeu.edu.ge>)

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის შედეგები:

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქვს ურბანული დაგეგმარების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას; • აქვს ქალაქმშენებლობის სფეროში ქალაქის დიზაინისა და ტერიტორიის დაგეგმვის პროცესისათვის აუცილებელი (ქალაქმშენებლობითი ნორმების, მარეგულირებელი დოკუმენტების, და სხვა) კომპლექსური ცოდნა;
------------------------------	---

	<ul style="list-style-type: none"> • აქვს გარემოს შენარჩუნებისა და რეაბლიტაციის მიზნით ეკოლოგიურად მდგრადი პროექტების განხორციელებისათვის საჭირო მეთოდებისა და საშუალებების ადექვატური ცოდნა; • აქვს ლანდშაფტური არქიტექტურის, ქალაქმშენებლობის, ასევე ტერიტორიული და ეროვნული დაგეგმარების საკითხების ცოდნა; • გაცნობიერებული აქვს თანამედროვე ურბანულ გარემოში მომსახურების სისტემების ფუნქციური მნიშვნელობა; • გაცნობიერებული აქვს ორიგინალური იდეების შემუშავებისა და ცალკეულ პრობლემათა გადაჭრის გზები;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია შემოქმედებითი მიდგომის დემონსტრირება, ნოვატორული იდეის პრაქტიკულად განხორციელება, პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება; • შეუძლია შესაბამისი კოდექსების, მარეგულირებელი დებულებების და ქალაქმშენებლობითი ნორმების და არქიტექტურული გარემოს გამოყენების წესების საფუძველზე მოქმედების უნარი; • შეუძლია ობიექტის საპროექტო დავალების მომზადება, განხორციელება კვლევის თანამედროვე მეთოდების დამოუკიდებლად გამოყენებით; • შეუძლია ურბანული პროექტის ხელმძღვანელობა პროფესიულ სამშენებლო, ფინანსური და სამართლებრივი კონტექსტის (პროექტის დაგეგმარება, პროექტის საორენტაციო ღირებულება, პროექტის მენეჯმენტი, პროექტის ჩაბარების პროცედურა) გათვალისწინებით; • შეუძლია ინოვაციურ გადაწყვეტილებათა მიღებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა.
<p>დასკვნის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ინფორმაციის შეგროვება, შესაძლო პრობლემების განჭვრეტა, მათი ანალიზის ჩატარება და კრიტიკული მსჯელობის გაღვივება, ასევე მოქმედების სტრატეგიის შემუშავება და ფორმულირება; • გამომუშავებული აქვს რთული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული შეპირისპირების, ანალიზისა და მიღებული შედეგების საფუძველზე მართებული

	<p>დასკვნის</p> <p>გაკეთების უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მოსალოდნელი პრობლემების განჭვრეტა და მათ გადასაჭრელად მოქმედების <p>სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება</p> <ul style="list-style-type: none"> • გააჩნია გუნდური მუშაობის უნარი; • გააჩნია ინტერპერსონალური (კონფლიქტების გადაჭრის გზების მოძიების, მისაღები ალტერნატივების შერჩევის და მართებული დასკვნის გაკეთების) უნარი;
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მუშაობის პროცესში გამოყენებული კვლევის მეთოდების, არგუმენტებისა და ჩამოყალიბებული დასკვნების პრეზენტაცია აკადემიურ და პროფესიული საზოგადოებისთვის, როგორც ქართულ ისე უცხო ენაზე • ფლობს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის პროფესიულ კომპიუტერულ პროგრამებს (.....AUTOCAD, 3DMAX.) და ფართოდ იყენებს მათ კვლევის, პრაქტიკული მუშაობისა და კომუნიკაციის პროცესში
<p>სწავლის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • გაცნობიერებული აქვს პრაქტიკული მუშაობისა და სწავლის პროცესის თავისებურებანი • გამომუშავებული აქვს, საკუთარი პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვისა და სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი
<p>ღირებულებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • გაცნობიერებული აქვს ჰუმანიტარული, სოციალური, კულტურული, ქალაქმშენებლობითი, არქიტექტურული ფასეულობის, ლანდშაფტის, გარემოს დაცვის და არქიტექტურული მეკვიდრეობის ღირებულებ(აზე)ებზე პასუხისმგებლობა • გააჩნია ტრადიციული კულტურული ღირებულებებისადმი დამოკიდებულებების შეფასებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი; • პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვისა და ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე პროფესიული ქცევის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები:

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, გრაფიკული მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (**collaborative**) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (**Case study**) მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლის მეთოდი: მოცემულ თემაზე ლექციის ჩატარება და დავალების ახსნა, არსებული მასალის მოძიება და ანალიზი, საკვლევი ტერიტორიის დათვალიერება კვლევის ჩატარება, ინტერაქტივი, ესკიზებზე მუშაობა და მათი როგორც ჯგუფურად ისე ინდივიდუალურად განხილვა, კლაუზურების შესრულება, განხილვა და შეფასება, საკლასო დისკუსია, ესკიზების დამტკიცება შემოქმედებითი პროექტის შესრულება, პრეზენტაცია და თვითშეფასება

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- შუა სემესტრულ შეფასებას;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისთვის გამოიყენება გრაფიკული, ზეპირი და წერიითი გამოკითხვა. სასწავლო კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების მომზადებას და მის დემონსტრირება - პრეზენტაციას

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, ფორმები და კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსებით.

პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS), „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემისა და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის დებულების შესაბამისად.

განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება, ისევე როგორც სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება უნივერსიტეტში წარმოებს 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასებაა 51 ქულა.

დადებით შეფასებად ითვლება:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

უარყოფით შეფასებად ითვლება:

(FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, იმის გათვალისწინებით, რომ დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 კალენდარული დღისა.

(F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / TEACHER PREPARATION EDUCATIONAL PROGRAM

მიმართულებები და ქვემიმართულებები:

- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი / lower /upper Secondary School Teacher of Georgian Language and Literature
- უცხო ენების მასწავლებელი:
 - ინგლისური ენის მასწავლებელი; / primary and lower /upper Secondary School Teacher of Foreign Languages – Teacher of English

პროგრამის ტიპი: მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებული საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის დასრულების სერტიფიკატი:

სერტიფიკატი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული; საბაზო-საშუალო სკოლის მასწავლებელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში / Certificate - Teacher Preparation Educational Program graduate; lower /upper Secondary School Teacher of Georgian Language and Literature

სერტიფიკატი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული დაწყებითი და საბაზო-საშუალო სკოლის მასწავლებელი უცხო ენაში - ინგლისური ენის მასწავლებელი / Certificate - Teacher Preparation Educational Program graduate; primary and lower /upper Secondary School Teacher of Foreign Languages – Teacher of English

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა კრედიტებით: 60 კრედიტი (ECTS) (1 კრედიტი - 25 საათი)
მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებული საგანამანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის სტუდენტს
ესაჭიროება პროგრამის სასწავლო კურსებიდან ისწავლოს:

- **ზოგადი პროფესიული მოდულიდან** - 36 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო და ერთი არჩევითი კურსი);
- **სასკოლო პრაქტიკის მოდულიდან** - 12 კრედიტი (შესაბამისი მიმართულებისთვის განსაზღვრული სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსები);
- **საგნის სწავლებისა და მეთოდის მოდულიდან** - 12 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო კურსი);

პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლება: პროგრამა შემუშავდა 2016 წელს და განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში
სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

სწავლების ენა: ქართული და ინგლისური (სასწავლო კურსების ნაწილი იკითხება ინგლისურ ენაზე ქართველი და უცხოელი ლექტორების
მიერ).

პროგრამის მიზნებია:

პროგრამის მიზანია მოამზადოს საბაზო და საშუალო საფეხურის (უცხო ენების მასწავლებლის მიამართულების შემთხვევაში დაწყებითი, საბაზო
და საშუალო საფეხურის) მასწავლებელი, რომელსაც ექნება შესაბამისი საგნის სწავლებისათვის საჭირო ცოდნა, უნარები და პროფესიული
მახასიათებლები.

პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ **წარჩინებული მასწავლებლის**
მახასიათებლებთან და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით
გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის სტატუსით გათვალისწინებულ შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს *გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით*.

სწავლის შედეგები: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს:

<p>ცოდნა და გაცნობიერება (საერთო ყველა მიმართულებისათვის)</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; ▪ აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება; ▪ იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი და ინოვაციური სტრატეგიები და მათი გამოყენების შესაძლებლობები; ▪ სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით იცის მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების მეთოდები; ▪ აცნობიერებს თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში; ▪ იცის კლასის მართვისა და კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიები; ▪ აცნობიერებს შეფასების შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში; ▪ აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის; ▪ იცის ინკლუზიური განათლების პრინციპები; ▪ იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი; ▪ იცნობს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას; ▪ იცის, როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო
--	--

<p>ცოდნა და გაცნობიერება (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიმართულებისთვის)</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ იცის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოსწავლის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამისა და სტანდარტის მოთხოვნები; ▪ იცნობს ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და სტრატეგიებს; ▪ აცნობიერებს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების აუცილებლობას მოსწავლეთა ენობრივი და წიგნიერების უნარების განვითარების პროცესში, ▪ აცნობიერებს ენის ძირითადი სამეტყველო უნარების (მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის) მნიშვნელობას მოსწავლის ენობრივი კომპეტენციების განვითარების პროცესში, ფლობს სწავლების შესაბამის მეთოდებს; ▪ აცნობიერებს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურული ფენომენის მნიშვნელობას მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბების, ასევე მისი დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების ფორმირების პროცესში; ▪ აცნობიერებს ქართული ლიტერატურის როლს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გააზრებაში; ▪ აცნობიერებს ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ ენის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს; ▪ იცის პრაქტიკული გრამატიკის სწავლების პრინციპები და აცნობიერებს მის როლს ტექსტების ლინგვისტური ანალიზისა და მოსწავლეთა ენობრივი უნარების განვითარებაში; ▪ იცნობს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნების შესაბამის შეფასების კომპონენტებს და ფორმებს.
<p>ცოდნა და გაცნობიერება (ინგლისური ენის მასწავლებლის მიმართულებისთვის)</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ იცის, რა უცხოური ენების სწავლების თანამედროვე მიდგომები; ▪ იცის ენის სისტემის ასპექტებისა (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა) და სამეტყველო უნარ-ჩვევების (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) სწავლა/სწავლების სტრატეგიები და ტექნიკები; ▪ იცის შესასწავლი ქვეყნის კულტურის სწავლების მნიშვნელობა ენის სრულყოფილად ათვისებისას და ენის სტრუქტურების სწავლებასთან ერთად ინტეგრირებულად აცნობს შესასწავლი ქვეყნის

	<p>კულტურას;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ იცის დავალებების ინსტრუქციების ნათლად ჩამოყალიბება/ინტერპრეტირება სამიზნე ჯგუფის დონის გათვალისწინებით და აცნობიერებს მოსწავლეთათვის შემოქმედებითი უნარების განმავითარებელი ამოცანების შეთავაზების მნიშვნელობას; ▪ იცის მოსწავლის პიროვნული, კულტურული და ინტერკულტურული განვითარებისათვის სასწავლო მასალის სწორად შერჩევა როგორც დაწყებით, ისე საბაზო თუ საშუალო საფეხურზე მათი ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; ▪ იცნობს შეფასების მრავალფეროვან და სპეციფიურ მეთოდებს შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასებისას უცხო ენის გაკვეთილზე.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (საერთო ყველა მიმართულებისათვის)</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; ▪ შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის მისიისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო გეგმების შემუშავება; ▪ შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად; ▪ შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა; ▪ შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების ადეკვატური გამოყენება, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვისათვის; ▪ შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით; ▪ შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა; ▪ შეუძლია მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და კულტურული მრავალფეროვნების გამოყენება პოზიტიური ერთიანი სასწავლო გარემოს შესაქმნელად; ▪ აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი; ▪ აქვს მოსწავლეებისა მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი;

	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია ინტერდისციპლინური მიდგომებით სწავლება; ▪ შეუძლია მოიძიოს, შექმნას და გამოიყენოს საგანმანათლებლო მიზნის შესაბამისი სასწავლო რესურსები; ▪ შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა/სწავლების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით; ▪ შეუძლია ექსტრაკურკულარული საქმიანობების დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად, მათი ავტონომიურობის გაზრდის მიზნით.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიმართულებისთვის)</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია მიზანმიმართული სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციებისა და წიგნიერების განვითარებას; ▪ შეუძლია სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა და წარმართვა, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ძირითადი სამეტყველო უნარების (მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის) მიზანმიმართულად განვითარებას; ▪ შეუძლია ენის ინტეგრირებული სწავლების მიდგომის გამოყენება, მოსწავლეებში ტექსტის გააზრება-ანალიზის უნარის გამომუშავების და გამოყენებითი გრამატიკის სწავლების მეთოდების გამოყენება; ▪ შეუძლია მოსწავლეთათვის ისეთი დავალებების შეთავაზება, რომლებიც ხელს ეუწყობს კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას; ▪ შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების ანალიზის საფუძველზე დაეხმაროს მათ ზოგადასაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების გაცნობიერებაში, ზოგადად, კულტურული კომპეტენციების განვითარებაში;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (ინგლისური ენის მასწავლებლის მიმართულებისთვის)</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია, მიზნობრივად გამოიყენოს ენობრივი საშუალებებისა და სამეტყველო უნარ-ჩვევების სწავლისა და სწავლების სტრატეგიები; ▪ შეუძლია მოსწავლეებს ენა ასწავლოს სოციოკულტურულ კონტექსტში, დაეხმაროს მათ შეადარონ უცხოური და მშობლიური სამყაროები მსგავსებებისა და განსხვავებების მიხედვით, ამოიცნონ დამკვიდრებული სტერეოტიპები;

	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია მედია-რესურსის გამოყენება უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში;
დასკვნის უნარი (საერთო ყველა მიმართულებისთვის)	<ul style="list-style-type: none"> ▪ საკუთარი პრაქტიკის კვლევის/ანალიზის საფუძველზე შეუძლია ინდივიდუალური პროფესიული განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების არგუმენტირებული დაგეგმვა; ▪ შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა და დასკვნების გაკეთება; ▪ საკუთარი პრაქტიკის და მოსწავლეთა შედეგების კვლევის, პროფესიული ლიტერატურის და კოლეგების გამოცდილების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეუძლია სასწავლო პროცესის, გარემოსა და სასწავლო რესურსების ცვლილებების დასაბუთება.
კომუნიკაციის უნარი (საერთო ყველა მიმართულებისთვის)	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია პროფესიულ საკითხებზე ეფექტური კომუნიკაცია სასწავლო პროცესის მონაწილე ან დაინტერესებულ სხვადასხვა პირთან (მოსწავლეები, მშობლები, კოლეგები და სხვა); ▪ პროფესიულ საკითხებზე ზეპირ თუ წერილობით კომუნიკაციას ახორციელებს მიზნობრივი აუდიტორიისათვის გასაგებ ენაზე და აკადემიურად; ▪ იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო თანამედროვე ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესსა და პროფესიულ განვითარებაში;
სწავლის უნარი (საერთო ყველა მიმართულებისთვის)	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია სხვადასხვა გზით მიღებული ახალი ინფორმაციის მიღება, სანდოობისა და საჭიროების მიხედვით გაფილტვრა და საკუთარ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირება/მისადაგება; ▪ აცნობიერებს და ასაბუთებს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებას; ▪ შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
ღირებულებები (საერთო ყველა მიმართულებისთვის)	<ul style="list-style-type: none"> ▪ იცის, იზიარებს და მოქმედებს მასწავლებლის ეთიკის კოდექსის შესაბამისად; ▪ აცნობიერებს მასწავლებლის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში; ▪ მონდომებულია მოსწავლეებს დაეხმაროს ადამიანის უფლებების დაცვისა და საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვის სწავლაში;

	<ul style="list-style-type: none"> ▪ აცნობიერებს მოსწავლისათვის უსაფრთხო და სასარგებლო ინტერესების დაცვისათვის მოქმედების პრიმატს პროფესიულ ეთიკაში; ▪ აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობის მნიშვნელობას დადებითი სასწავლო გარემოს შექმნისთვის; ▪ აცნობიერებს და უზიარებს სხვებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობას; ▪ აცნობიერებს პროფესიული ეთიკის წესების მნიშვნელობას ლოკლურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.
--	---

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მიიღწევა ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების კომბინირებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგიური პრაქტიკის კვლევასა და განხორციელებას - ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლას.

კერძოდ, პროგრამის ფარგლებში გამოიყენება:

- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.
- ახსნა-განმარტებითი და ინტერაქტიული ლექცია,
- დისკუსია/დებატები,
- როლური და სიტუაციური თამაშები,
- პრეზენტაცია,
- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული საპროექტო სწავლება;
- შემთხვევის ანალიზი (Case study)
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა,
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება,
- ევრისტიკული მეთოდი,
- პედაგოგიური პრაქტიკაზე დაკვირვება, ანალიზი, რეფლექსია;
- წყაროებზე მუშაობის მეთოდები;
- სააზროვნო დიაგრამებით სწავლება;

- უკუკავშირის მეთოდები და სხვა;

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია სწავლების/სწავლის ის კონკრეტული მეთოდი/მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნებს და მისაღწევ (დაგეგმილ) სწავლის შედეგებს, ხოლო, სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები, თავის მხრივ, სრულ შესაბამისობაშია პროგრამით მისაღწევ შედეგებთან. ამდენად, სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სწავლების/სწავლის მეთოდების ერთობლიობა ქმნის პროგრამის სწავლების/სწავლის ერთიან მეთოდოლოგიას.

სტუდენტთა კომპეტენციების შეფასების სისტემა: განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის დებულების შესაბამისად.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (დასკვნითი გამოცდა და შუალედური შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა, დასკვნითი პროექტი, რეფერატი/პრეზენტაცია. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასებაა 51 ქულა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

სადოქტორო პროგრამები

სამართალი / LAW

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): სამართლის დოქტორი/ Doctor of Law (მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და არანაკლებ 180 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში)

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება განხორციელდება ქართულ ენაზე,

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS

პროგრამის მიზნები

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული კვლევა;
- კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის მეცნიერებისა და სამართლებრივი აზროვნების განვითარება;
- არსებული სამართლის სისტემების არსში წვდომა, მათი ნაკლოვანი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი წინადადებების შემუშავება.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია დოქტორანტს:

- შესძინოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის შესახებ უახლეს მიდევებზე დამყარებული ცოდნა;
- გამოუმუშაოს არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გამოუმუშაოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- გამოუმუშაოს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციების სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებისა და გამოქვეყნების უნარი;
- გამოუმუშაოს სამეცნიერო კვლევის აკადემიურად სტრუქტურირების, ლოგიკური მსჯელობისა არგუმენტირების, აგრეთვე სამეცნიერო კვლევის შედეგების განზოგადების უნარი;

- გამოუმუშაოს პრობლემათა იდენტიფიცირებისა და სამართლებრივი ანალიზის, აგრეთვე პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გამოუმუშაოს პრაქტიკულ საქმიანობაში სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენების უნარი;
- გამოუმუშაოს სამართლის გლობალურ პრობლემატიკაში იოლად ადაპტირების უნარი.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

- აქვს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის დარგის უახლეს ან/და აქტუალურ მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- ფლობს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის დარგის ან დარგთაშორისი სფეროს სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს;
- შეუძლია კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არსებული ცოდნის კრიტიკული გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

- აქვს ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელების და ზედამხედველობის უნარი;
- შეუძლია ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რაც საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში აისახება;
- შეუძლია კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის მიმართულებით ინოვაციური კვლევების დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
- შეუძლია ახლებური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომელიც კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის ფარგლებში ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული;
- ფლობს სამართლებრივი კონფლიქტების სამართლებრივი მეთოდებით გადაწყვეტის უნარს;
- შეუძლია საუნივერსიტეტო იურიდიულ განათლებაში საკუთარი წვლილის შეტანა.

დასკვნის უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

- კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შეუძლია ახალი,

<p>რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება;</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; • შეუძლია განახლებული სამართლებრივი ბაზის, სასამართლო პრაქტიკისა თუ უახლესი მეცნიერული მიღწევების, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი მიდგომების შეფასება და კრიტიკული ანალიზი; • შეუძლია სამართლებრივი პრობლემების სწორი მეცნიერული ინტერპრეტირებას.
<p>კომუნიკაციის უნარი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სართაშორისო თუ ეროვნულ დონეზე სამეცნიერო საზოგადოებასთან კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის უახლესი სამეცნიერო მიღწევების გარკვევით და დასაბუთებულად წარმოჩენა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო პუბლიკაციების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და ა.შ. შექმნის გზით თემატურ პოლემიკაში ჩართვა.
<p>სწავლის უნარი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს სწავლისა თუ კვლევის პროცესში კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ახალი შეხედულებებისა თუ იდეების კრიტიკული გააზრების, ათვისებისა და მათი დანერგვის უნარი; • გააჩნია კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ან/და ახალი პროცესების განვითარების მზაობა.
<p>ღირებულებები</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია კერძო, სისხლის ან საჯარო სამართალთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p> <p>სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.</p> <p>დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.</p>

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით.

ინგლისური ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ საქართველოში ან მის ფარგლებს სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე.

დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განისაზღვრება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.

დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით - www.alte.org

ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო)

მესამე დონე ითვლება გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას უნდა შეეძლოს როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას განვითარებული აქვს მეტი მოქნილობა და უნარი, რომ შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა ენის უცვლელ ნიმუშებსა და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას ზრდილობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა ისაუბროს ოფიციალურ სიტუაციაში. B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს გაიაროს აკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს (მაგალითად იმ ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ).

საუბარი: სწავლისას, ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია დასვას შეკითხვები ლექციაზე ან პრეზენტაციისას მისთვის ნაცნობ ან პროგნოზირებად თემაზე. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სემინარსა და წვრთნებში.

წერა: ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია შეზღუდული გამოყენებისათვის ან შემდგომი გადამუშავების მიზნით ჩაიწეროს შენიშვნები ლექციებსა და სემინარებზე. მას შეუძლია ამოიწეროს შენიშვნები წერილობითი წყაროებიდან. მას შეუძლია დაწეროს ესსე, რომელშიც გადმოსცემს თავის აზრს, ან დაწეროს ექსპერიმენტის ანგარიში, რომელშიც ნაჩვენებია იქნება შესრულებული სამუშაოს ძირითად შინაარსი.

კითხვა: მისი კითხვის უნარი აღემატება ყოველდღიური წერილებისა და ძირითადი საგაზეთო/ჟურნალის სტატიების გაგების უნარს. მას შეუძლია გაეცნოს მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ფაქტობრივ ინფორმაციას და საკუთარი გამოვლენებით შერჩეულ მხატვრულ ლიტერატურას. მას შეუძლია თავი გაართვას მცირე მოცულობის მოხსენებებსა და სტატიებს პროგნოზირებად თემებზე და გაიგოს მისთვის ნაკლებად ცნობილ თემაზე სტატიის ან მოხსენების ზოგადი შინაარსი. ამ დონეზე ენის მცოდნე არის ენაში საკმარისად გაწაფული იმისათვის, რომ დასძლიოს არაკადემიური ტრენინგები, რომლებიც სასწავლო ენაზე ტარდება. ამ დონეზე ენის მცოდნეს შეუძლია დაძლიოს ლექციის, პრეზენტაციის მასალა მისთვის ნაცნობ სფეროში ან იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტს კარგად იცნობს, თუმცა შეიძლება შეექმნას სირთულეები აბსტრაქტული არგუმენტაციის გაგებისას. მას შეუძლია წაიკითხოს მარტივი სახელმძღვანელოები და სტატიები.

მოსმენა: სწავლისას, მას შეუძლია გაიგოს მისთვის ნაცნობ თემაზე ლექციის ზოგადი შინაარსი.

B 2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა

ტოიფელი (TOEFL PBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა
ტოიფელი (TOEFL IBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

სწავლება-სწავლის მეთოდები

- | | |
|--|--|
| <input checked="" type="checkbox"/> ლექცია | <input checked="" type="checkbox"/> სამუშაო ჯგუფში მუშაობა |
| <input checked="" type="checkbox"/> პრაქტიკული მუშაობა | <input checked="" type="checkbox"/> სემინარი |
| <input type="checkbox"/> ელექტრონული რესურსით სწავლება | <input type="checkbox"/> ელექტრონული სწავლება |
| <input checked="" type="checkbox"/> სხვა | |

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

დოქტორანტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში დოქტორანტის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს დოქტორანტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. დოქტორანტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
